საერთო გაზეთი

№32 (537) • 18 სექტემბერი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ეს არ არის ქართული ამბავი, ეს ამერიკული ამბავია

როდის აიჭრებიან ცაში ქართული წარმოების თვითმფრინავები?

არ წახვიდეთ, ქართველებო, 20 სექტემბრის მიტინგზე

რადგან ეს არ არის ქართველების მიტინგი – ესაა აგენტების, ჯაშუშების, საქართველოს მტრების და გამყიდველების მიერ ორგანიზებული დიდი პროვოკაცია.

ქართველი ხალხის კატეგორიული მოთხოვნაა:

სანამ მართლა არ გადაუტრიალებიათ ქვეყანა, სანამ სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე რეალური არ გამხდარა, ეს უმსგავსობა უნდა აილაგმოს!

ქვეყანა პოლიტიკური შიზოფრენიის პიკს უახლოვდება

„ლელოს“, ძველი „ყაჩაღი-რაგბისტი“ თემურ ჭყონიაც შეემატა

რასმუსენმა დაგვიბარა...

მამუკა ხაზარაძე 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ.

საწყალი

გილოცავთ, საქართველოში ორი ახალი საკანალიზაციო მილი გაიხსნა!

ვახტანგ ხარჩილავა:

ПОЛИТПАРАДОКСЕБИ

საწყალი

საწყალი კაცია ხაზარაძე თუნდაც იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილს ეტოქება და ეტოლება, რადგან ჰგონია, რომ ფული ფულს უდრის და მისი მილიონიც ივანიშვილის მილიონის ტოლფასია

საწყალი! — ეს სიტყვა ამეკვიატა საზოგადოებრივი მოძრაობა „ლელოს“ პრეზენტაციაზე მამუკა ხაზარაძეს რომ ვუყურე.

— კაცი მილიონერია და რატომ არის საწყალი? — გაიკვირვა ჩემმა მეგობარმა.

რატომ არის საწყალი და იმიტომ რომ, როგორც ამ პრეზენტაციაზე გაირკვა, ხაზარაძე აბსოლუტურად უნიჭო კაცია, თორემ პოლიტიკურ მოძრაობას „ლელოს“ როგორ დაარქმევდა?

კიდევ იმიტომ არის საწყალი, რომ, პრეზენტაციის ადგილად ანაკლია შეარჩია, ანაკლია — მისი მორიგი ავანტურისტული ზრახვების სასაფლაო, ანაკლია, სადაც მისი „მეკობრული გემი“ ჩაიძირა.

ხაზარაძე საწყალია, აბა, რა არის, თავისი უბადრუკი ორგანიზაციის დაარსების თარიღს, ვითომდა შემთხვევით, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის თარიღს რომ დაამთხვევს და მათ შორის სიმბოლური პარალელების გავლებას რომ დაიწყებს?

მამუკა ხაზარაძე 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ.

საწყალია ხაზარაძე იმიტომ რომ მშიშარაა, დაჭერის ეშინია და ამიტომ მოძვრება პოლიტიკაში — იქნებ პოლიტიკოსის სტატუსმა გადამარჩინოსო, ჩვენ კი, დანარჩენი საზოგადოება, სულელები ვგონივართ და თავისი საწყალი ჭკუით გვატყუებს — იდეები მაწუხებს, ქვეყნის ბედი მაწუხებს და ეს ბიზნესმენი კაცი ამიტომ ვწირავ თავსო.

თავისი მილიონერობის გამოც საწყალია ხაზარაძე, რადგან ეს მილიონები გაჭირვებული თანამემამულეების ხარჯზე, მათი უბედურების ხარჯზე აქვს ნაშოვნი და ეს ცოდვა მას და მის შთამომავლობას აუცილებლად უწევს.

საწყალია ხაზარაძე, რადგან ერთი ჭკვიანი მეგობარი არ ჰყოლია, ერთი გონიერი გულშემატკივარი არ ჰყოლია, რომელიც ეტყოდა: სად მიდიხარ, ძმაო, შენ? რა გინდა პოლიტიკაში — გაგამასხარავებენ, გაგაბითურებენ, გაგათახსირებენ, თავსლაფს დაგასხამენ, ყველა ცოდვას ამოგიყრიან და შენი დამცველი და გამომსარჩლებელი არავინ იქნება, რადგან, შენ ხომ იცი, არ გიცხოვრია ისე სუფთად და სპეტაკად, რომ დაცვას და გამოსარჩლებას იმსახურებდე.

საწყალი კაცია ხაზარაძე თუნდაც იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილს ეტოქება და ეტოლება, რადგან ჰგონია, რომ ფული ფულს უდრის და მისი მილიონიც ივანიშვილის მილიონის ტოლფასია.

არ არის ეს ასე, ხაზარაძე! ივანიშვილის სიძლიერე მხოლოდ ფულში არ არის — ის, შენგან განსხვავებით, ნამდვილად ნიჭიერი კაცია და შენნაირს ათს ჩაისვამს ჯიბეში.

საწყალი კაცია ხაზარაძე, რადგან „12 მოციქულს“ ეძებს, აქედან კი მხოლოდ ორი იპოვა ჯერჯერობით და ის დანარჩენი ათიც, ისეთივენი თუ იქნებიან, როგორიც ეს ორია, „მოციქულთა“ მაგარი გუნდი ეყოლება, ამ გუნდს, ალბათ, უბორნიის პოეტებიც დაემატებიან და 2020-ში აუცილებლად გავლენ პირველ ადგილზე, ოღონდ ბოლოდან პირველ ადგილზე.

ოპოზიციურს, ჯერ არსმენილს, ჯერ არგაგონილს...

სექსი უცხოური სიტყვაა და ქართულად გათხოვებას ნიშნავს, — ასე განმარტავს თანამედროვე ლექსიკოგრაფი ამ სიტყვას.

ოპოზიციაც უცხოური სიტყვაა და ქართულად ქვეყნის მტრობას ნიშნავს.

წესით და რიგით, არ უნდა ნიშნავდეს, მაგრამ ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში საქართველოში მომხდარი ამბებით თუ ვიმსჯელებთ, ოპოზიცია და ოპოზიციონერობა ქვეყნის მტრობას კი არა, უფრო უარესს — ქვეყნის ნგრევას და გაპარტახებას ნიშნავს.

გავიხსენოთ გასული საუკუნის 90-იანი წლები — ოპოზიციამ, იმის ნაცვლად, რომ არსებული ხელისუფლებისთვის კვალიფიციური ოპონირება გაეწია და დამოუკიდებლობის გზაზე ახლადფეხშედგმული ქართული სახელმწიფოს განვითარებისთვის ხელი შეეწყო, აიღო და ნახევარი საქართველო გადაწვა, შემდეგ კი ხელისუფლების სათავეში დასკუპდა — ოპოზიცია ვიყავი მე და ძალაუფლება ჩემი პატიოსანი შრომით და ოპოზიციონერობით დავიმსახურეო.

თუ ეს არის ოპოზიციონერობა, მაშინ ოპოზიციონერები ყოფილან მურვან-ყრუ, ჯალალ-ედინი, თემურ-ლენგი...

მერე სხვა ოპოზიციის ჯერი დადგა და ახლა ესენი შეიჭრნენ პარლამენტში.

მართალია, ხელში ვარდები კი ეჭირათ, სამაგიეროდ, ქამრებში ფიშტოები ჰქონდათ გარჭობილი, კოსტიუმების ქვეშ კი ჯავშანჟილეტები ეცვათ.

მიუხედავად ამისა, მაინც პოეტური და რომანტიკული სახელით („ვარდების რევოლუცია“) მოინათლა ეს წმინდა წყლის სახელმწიფო გადატრიალება.

ხელისუფლებაში მოსულმა ამ ოპოზიციამაც იგივე აკეთა, რაც მისმა წინამორბედმა — ძარცვა და ღლიტა ქართველი ხალხი, ნაწილ-ნაწილ ყიდა საქართველოს ტერიტორიები, ხოცა და ჟლიტა უდანაშაულო ადამიანები, ქართველებით გაავსო ციხეები.

ხელისუფლებიდან წასული და ოპოზიციაში გადასული „ნაცმოძრაობა“ თავის განაყოფებთან და პოლიტიკურ ნაბიჭვრებთან ერთად, ისევ ძალადობის, აგრესიის, უკიდურესი კონფრონტაციის გზას ადგას და შურისძიებით და რევანშიზმით აღვსილი კვლავ ახალი უბედურებით გვემუქრება.

ოპოზიციაში ყოფნას და ოპოზიციონერობას არავინ არავის არ უშლის, თუმცა ხომ შეიძლება იყო თუნდაც რადიკალური ოპოზიცია, მაგრამ იმოქმედო ისე, რომ შენს ოპოზიციონერობას ქვეყანა არ გადააყოლო და შენს პოლიტიკურ მიზნებს ქვეყანა არ შესწირო.

როცა თამაშის ამ წესებს არღვევ, უკვე ოპოზიცია კი არა, ქვეყნის მტერი ხარ.

ეს მარტივი ჭეშმარიტება, სამწუხაროდ, ბევრმა დღემდე ვერ გაიგო საქართველოში...

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები პროპორციული სისტემით, ნულოვანი ბარიერით ჩატარდება, მაგრამ ოპოზიცია მაინც უკმაყოფილოა და ყველას ხატზე დაფიცებას სთხოვს, რომ „ქართულ ოცნებას“ კოალიციურ მთავრობას არ შეუქმნიან.

რა ჰქვია ამას, თუ არა საზოგადოების გახლეჩვის და დაპირისპირების მანიაკალური ინსტინქტებით ნაკარნახევი მავნებლობა და ქვებუდანობა.

ბარემ თქვით, რომ არჩევნებიც ფეხებზე გკიდიათ, ეს ქვეყანაც ფეხებზე გკიდიათ და არჩევნებისთვის კი არა, ომისთვის ემზადებით.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

როდის აიჭრებიან ცაში ქართული წარმოების თვითმფრინავები?

დანაშაულია, ქვეყანას ჰქონდეს დიდი პოტენციალის მქონე საავიაციო ქარხანა და მას სათანადოდ ვერ იყენებდეს

3 სექტემბერს პარლამენტში თავდაცვის მინისტრობის კანდიდატს, ირაკლი ღარიბაშვილს მოუსმინეს. დეპუტატების წინაშე გამოსვლისას, ღარიბაშვილმა საქართველოში სამხედრო თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების წარმოების განახლებაზე და თბილისის საავიაციო ქარხნის აღდგენაზე ისაუბრა:

„დღესაც არსებობს ე.წ. 31-ე ქარხანა, სადაც ჩვენ ვუშვებდით სამხედრო თვითმფრინავებს. საბედნიეროდ, ქვეყანაში ჯერ კიდევ გვაქვს ინტელექტუალური რესურსი. ის ადამიანები, რომლებიც მუშაობდნენ ამ უნიკალური მაღალტექნოლოგიური პროდუქციის შექმნაზე, ჯერ კიდევ ცხოვრობენ ქვეყანაში. ვაპირებ ამ საკითხის დასმას მთავრობის შემადგენლობაში. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ეს უნიკალური შესაძლებლობა, ეს შანსი, რომ აღვადგინოთ სამხედრო თვითმფრინავების წარმოება“ — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

სანამ საკაშვილის ხელისუფლების დროს კანონიერი მფლობელებისთვის ზეწოლითა და შანტაჟით წართმეული ქარხნისთვის ძველი დიდების დაბრუნებასა და სამხედრო თვითმფრინავების წარმოების აღდგენაზე ვისაუბრებდეთ, მცირე ისტორიულ ექსკურსს შემოგთავაზებთ.

თითქმის საუკუნოვანი ისტორიის მქონე თბილისის საავიაციო ქარხანა მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში, თბილისში ევაკუირებული ტაგანროგისა და სევასტოპოლის საავიაციო ქარხნების ბაზაზე შეიქმნა და მალევე, წარმოებაში პირველი მოიერიშე თვითმფრინავი ლაგგ-3 გაუშვა. ომის პერიოდში ქარხანა მოიერიშე თვითმფრინავების ერთადერთი მიმწოდებელი იყო კავკასიის ფრონტისთვის. ომის დასრულების შემდეგ, 1946 წელს ქარხანამ პირველი საბჭოთა რეაქტიული მოიერიშე იაკ-15-ის გამოშვება დაიწყო, მას მოჰყვა იაკ-17, იაკ-23, მიგ-15, მიგ-17, მიგ-21. 1979 წლიდან თბილისის საწარმომ ლეგენდარული საბჭოთა თვითმფრინავის — „სუ-25-ის“ გამოშვება დაიწყო და ამ ტიპის 800-მდე თვითმფრინავი დაამზადა. იმ პერიოდში თბილისის საავიაციო ქარხანაში მომუშავენი დღემდე ამაყობენ, რომ მათ მიერ გამოშვებულ არც ერთ სამხედრო თვითმფრინავს კატასტროფა არ განუცდია.

1980 წლიდან ქარხანამ „მიწა-მიწა“ ტიპის რაკეტების გამოშვება დაიწყო, რომელსაც საბჭოთა კავშირი ავღანეთის ომში იყენებდა. 1990-იანი წლებიდან ქარხანა აწარმოებდა ჰაერი-ჰაერი ტიპის რ-60 და რ-73 მართვად რაკეტებს.

თბილისის საავიაციო ქარხანაში 1991 წლამდე 15 ათასი ადამიანი იყო დასაქმებული. ის საბჭოთა ეპოქაში საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი და ყველაზე მომგებიანი საწარმო იყო. ქარხანა მსხვილ შეკვეთებს იღებდა მთელი საბჭოთა კავშირიდან და ძირითადად საავიაციო ტექნიკას, თვითმფრინავებს, ვერტმფრენებსა და საავიაციო ნაწილებს უშვებდა

2004 წლამდე ქარხანა სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოს სახით არსებობდა. 2005 წელს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ქარხნის პროვატიზაცია მოხდა. ის პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცა საწარმოს კოლექტივს, შპს „თბილავიამშენს“ და სააქციო საზოგადოება ჩამოყალიბდა.

2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, რუსეთის ავიაციამ „თბილავიამშენს“ მწყობრიდან გამოყვანის მიზნით, წერტილოვანი სარაკეტო დარტყმები მიაყენა. ბედის ირონიით, მოიერიშე თვითმფრინავების მწარმოებელი ქარხანა სწორედ მისმა „რუსულ-საბჭოურმა“ ანალოგებმა დაბომბეს.

2010 წელს საკაშვილის ხელისუფლებამ საავიაციო ქარხნის მესაკუთრე 26 პირს ქონება დანაშაულებრივად, იძულებითა და მუქარით ჩამოართვა. ამ დროისთვის, შპს თბილავიამშენის წილებს პანტიკო თორდია (85.94%) ნოდარ ბერიძე (11.95%) და კახაბერ ჟღენტი (2.11%) ფლობდნენ. 27 ივნისს, კვირადღეს, სამივე მეწილე ეკონომიკის სამინისტროში დაიბარეს, სადაც ქონება, რაშიც 67 მლნ დოლარი ჰქონდათ გადახდილი, საზელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადააცემინეს. იმავე წელს საავიაციო ქარხანა სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ „დელტას“ დაქვემდებარებაში გადავიდა, რომელსაც ზედამხედველობას თავდაცვის სამინისტრო უწევს. მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა ბაჩო ახალაიამ პანტიკო თორდიას დირექტორის სტატუსი და თვითმფრინავების კონტრაქტების მოპოვება-მიღების უფლება დაუტოვა, რადგან თორდიას ამ კუთხით თავისი კავშირები ჰქონდა...

ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, თბილისის საავიაციო ქარხნის ყოფილმა მფლობელებმა წილის დაბრუნების მოთხოვნით, პროკურატურას და სასამართლოს მიმართეს. მათი მტკიცებით, 2010 წლის ივნისში „თბილავიამშენის“ წილები სახელმწიფოს ზეწოლის პირობებში აჩუქეს და წილის დათმობის ხელშეკრულებების გაბათილება მოითხოვეს, თუმცა, ჯერჯერობით უშედეგოდ.

საავიაციო წარმოების აღორძინებასთან დაკავშირებით, თავდაცვის ახალი მინისტრის გეგმებზე და გაჭიანურებულ სასამართლო დავაზე სასაუბროდ „საერთო გაზეთი“ „თბილავიამშენის“ ყოფილ გენერალურ დირექტორს **პანტიკო თორდიას** დაუკავშირდა:

— საქართველოში ვერტმფრენების წარმოება არასოდეს ყოფილა, მარტო ვერტმფრენების რემონტზეა ლაპარაკი. რაც შეეხება თვითმფრინავებს, თვითმფრინავების წარმოება 77 წელია უკვე არსებობდა

და დღესაც არსებობს, მაგრამ არის პრობლემები. ჩვენ ალბათ გვექნება შეხვედრა თავდაცვის ახალ მინისტრთან, სადაც უნდა განვიხილოთ, რა არის საჭირო იმისათვის, რომ უნიკალური წარმოება, სადაც მაღალი ტექნოლოგიები, მაღალი ინტელექტი, წარმოების მაღალი კულტურა და პროფესიონალი კადრებია, მართლაც არ დაიკარგოს. კიდევ არის შანსი, რომ ეს ქარხანა შევინარჩუნოთ და იმედი მაქვს, რომ ახალი მინისტრისა და ჩვენი სურვილიც ეს არის.

— საკაშვილის ხელისუფლების დროს მოხდა საავიაციო ქარხნის კანონიერი მფლობელებისთვის ჩამორთმევა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ქარხნის კანონიერმა მფლობელებმა სამართლებრივი დავა დაიწყეთ. იქნებ გვითხრათ, ახლა რა ატაპზეა ეს დავა?

— 2010 წელს წართმეული ქარხანა კანონიერ მფლობელებს და ერთ-ერთი კანონიერი მფლობელი მეც გახლავართ, ჯერ არ დაბრუნებია. ჩვენ უკვე შვიდი წლის განმავლობაში ვაწარმოებთ სასამართლო დავას, თუმცა ჯერჯერობით, რეალური ხელშესახები შედეგები არ დამდგარა.

— სასამართლო პროცესების მიმდინარეობის დროს ქარხანა მუშაობს?

— დიახ, მუშაობს, თუმცა შიდა პრობლემები რა თქმა უნდა, არის. ამჟამად ქარხანაში არის 5 კომპანია და ყველა ცდილობს, რომ თავისკენ უფრო მეტი გადაქაჩოს. ამ დავაში და ჭიდაობაში ქარხანა ზარალდება, ამიტომ საკუთრების საკითხი დროულად უნდა გადაწყდეს. ჩვენ 2010 წლამდე ძალიან ინტენსიურად ვმუშაობდით, მაგრამ 2010 წლის ივლისის ბოლოს გაფორმდა სახელმწიფოსთვის გადაცემა..

— რომელსაც ნებაყოფლობით, ჩუქების ფორმა ჰქონდა...

— ნებაყოფლობით ჩუქება ღამის 3 საათზე, შაბათ და კვირა დღეს არ ხდება. ასეთ გადაცემას ყოველთვის წინ უძღვის რაღაცა წერილი, თხოვნა ან მოთხოვნა და ა.შ. მე 26 ივნისს, შაბათ დღეს დილიდან საღამომდე ვიყავი ფინანსურ პოლიციაში და ალბათ ხვდებით, რატომ ვიყავი..

— როგორც ვიცი, თქვენ არჩევანი არ დაგიტოვეს..

— ორი ვარიანტი იყო: ან ჩუქებაზე უარი უნდა მეთქვა და ციხეში წავსულიყავი ან ყველაფერი უნდა დამეთმო და სახლში წავიდოდი. პირდაპირ მეუბნებოდნენ, რომ დარჩენილ ცხოვრებას ციხეში გავატარებდი და მე სახლში წასვლა ვარჩიე. 26 აქციონერს იძულების, მუქარისა და ზეწოლის გზით წაგვართვეს ქარხანა, რომელიც საქართველოში იმ პერიოდისათვის ერთ-ერთი წარმატებული საწარმო იყო, რაზეც მეტყველებს ჩვენ მიერ განხორციელებული პროექტები, საბიუჯეტო შენატანები, დასაქმების და ექსპორტის მაჩვენებლები.

აღსანიშნავია, რომ სანამ სახელმწიფოს საკუთრება გახდებოდა, სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში „გაჩუქებული“ კომპანია საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ საწარმოდ ითვლებოდა. სხვა საწარმოებისგან განსხვავებით, მან შეინარჩუნა ტექნიკური პოტენციალი და მის მიერ გამოშვებულ პროდუქციას ქვეყნის საექსპორტო მაჩვენებლებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. იმ დროს, როდესაც მესაკუთრეებს ქარხანა წაართვეს, საწარმო ერთ-ერთ უცხო ქვეყანასთან გაფორმებული 150-მილიონიანი კონტრაქტის შესრულებაზე მუშაობდა. ქარხანამ სახელმწიფო საკუთრებაში იძულებით გადასვლით, დაკარგა: საერთაშორისო ხარისხის მართვის სერტიფიკატები ISO-9001,2001:2003, EN9100:2003; საავიაციო ბაზრები, როგორც მოიერიშე თვითმფრინავების მწარმოებელმა კომპანიამ და საავიაციო ტექნიკის სარემონტო საწარმომ; შეჩერდა ფრანგულ კომპანიასთან ერთად განსახორციელებელი 18-ადგილიანი სამოქალაქო დანიშნულების თვითმფრინავის წარმოების პროექტი. შეჩერდა სამოქალაქო დანიშნულების ბიზნესთვითმფრინავების გამოცდისა და სერტიფიცირების პროცესი.. ამასობაში კი უკანონოდ წართმეულ ქონებაზე 2013 წელს დაწყებული სამართლებრივი დავა დღემდე გრძელდება.

ნელი თორდია
571 35 36 88

რასმუსენმა დაგვიბარა...

გვესაუბრება
პოლიტოლოგი
სოსო ცინცაძე:

— ბატონო სოსო, რასმუსენმა განაცხადა: დროა, დაიწყოს დისკუსია — რამდენად მისაღებია საქართველო ნატოში აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის გარეშე? შევიდესო. რა მოსაზრება გაქვთ ამ საკითხზე?

— საკითხი ძალიან მარტივად დგას. ჩვენი საზოგადოება პოლარიზებული, ნატოს და ანტინატოს მომხრეებადაა გაყოფილი და ელემენტარულ ჭეშმარიტებასაც კი დემაგოგიისთვის იყენებს. მთავარი სხვა რამ არის. მოდით, პირველ რიგში, ერთი რამ განვსაზღვროთ: ემუქრება თუ არა, დღეს, საქართველოს, რუსეთის მხრიდან, შეუჩერებელი მცოცავი ანექსია. რუსებმა, ახლახან, ხაშურთან კიდევ ერთი ტერიტორია მიითვისეს. მგონი, უკვე, სკოლის მოწაფეებიც დარწმუნდნენ, რომ საქართველოს ე.წ. ბორდერიზაციის შეჩერების არანაირი ბერკეტი არ გააჩნია. ამ საკითხის მოსაგვარებლად, თითქოს, სპეციალური სამინისტროც გვაქვს და მინისტრიც გვყავს, თუმცა მათი პასუხია: ყველაფერი ჩვენს პარტნიორებს ვაცნობეთო. მერე, რა? — კრება დარჩა

მხიარული, სიტუაცია იგივეა. კი ბატონო, ეუთოს მისიამ ჩაინიშნა, რომ რუსებმა, კიდევ, 40 მეტრით გადმოიწიეს, კიდევ, ერთი სახლი აღმოჩნდა მავთულხლართების იქეთ, ეფექტი — არავითარი. ჯერ-ჯერობით, პერმანენტულ რეჟიმში, ტერიტორიებს სულ ვკარგავთ და ვკარგავთ და ერთი კვადრატული მეტრიც არ დაგვიბრუნებია. ეს ერთი მომენტია. ახლა მეორე: გაერთიანებული ერებისა და მსოფლიოს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის აღიარებით აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ-ოსეთი საქართველოს ტერიტორიაა, თუმცა, ეს საკმარისი არ არის იმისთვის, რომ დაკარგული ტერიტორიები დავიბრუნოთ. სამწუხაროდ, ასე არ არის. მეორე მხრივ, ვერც ჩვენი „სტრატეგიული მოკავშირეები“ დებენ რაიმე შედეგს. „სტრატეგიული მოკავშირეები“ — ამ ტერმინს ყოველთვის ბრჭყალებში ვხმარობ იმიტომ, რომ სტრატეგიული მოკავშირე, თამარ, საქართველოს არ ჰყავს და არც არასდროს ჰყოლია. სტრატეგიული მოკავშირე არის ქვეყანა, რომელიც შენს გამო იომებს. აი, მაგალითად, ამერიკა ისრაელის სტრატეგიული მოკავშირეა. 17 სექტემბერს ისრაელში არჩევნებია. ნათანიაჰუმ უკვე განაცხადა, რომ მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს მიუერთებს. ჩნდება კითხვა: ვისი იმედით? — რასაკვირველია, ამერიკის, ტრამპის იმედით. ჩვენ, ასეთი მოკავშირე, არ გვყავს. ამიტომ, დღეს, საკითხი ასე დგას: ეს უძრაობა სტაბილურ ქრონიკაში გადავიდეს — როცა კი მოესურვება მოსკოვს ნელ-ნელა, ჩოჩვა-ჩოჩვით საზღვარი აქეთ გადმოსწიოს და ბოლოს სად გაჩერდება, კაცმა არ იცის, თუ რაღაც კრეატიული სიახლე მივიღოთ, რაც რასმუსენმა შემოგვთავაზა. მის წინადადებას აქვს როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარე. უარყოფითი ის გახლავთ, რომ ჩვენი მტრები ამ ყველაფერს დემაგოგიისთვის გამოიყენებენ და იტყვიან: აი, საქართველომ ირიბად, თუმცა, უკვე, აფხაზეთი და სამხრეთ-ოსეთი მისგან დამოუკიდებელ ტერიტორიებად აღიარაო. ეს საფრთხე, რასაკვირველია, არსებობს, მაგრამ ეს მხოლოდ დემაგოგიაა, რასაც შედეგი არ მოჰყვება — უბრალოდ, ოსეთში ანტიქართული ძალები ვიშვიშს და ტაშისცემას ასტეხენ. დადებითია ის, რომ დღეს არსებულ ტერიტორიებზე, რასაც ხვალ, ზეგ ქრონიკული ბორდერიზაცია ემუქრება, ეს პროცესი შეჩერდება. ბორდერიზაცია ვეღარ განხორციელდება იმიტომ, რომ ამ ტერიტორიაზე, უკვე, მე-5 პუნქტი გავრცელდება. ეს უბრალო საკითხი არ გახლავთ. დღეს, ეს წინადადება, მხოლოდ იდეის დონეზეა. ამიტომ, ამას ძალიან მყარი გარანტიები სჭირდება. დავუშვათ, თეორიულ დონეზე, ქართული მხარე რასმუსენის წინადადებას დასთანხმდა. ნატოს 28 წევრი ქვეყანა თანახმა იქნება საქართველოს იმ ტერიტორიის, რომელსაც იგი დღეს აკონტროლებს, გარანტად დადგეს? თუ რუსეთმა ამ ტერიტორიაზეც მოინდომა მავთულხლართების გაბმა, მაშინ ნატო რუსეთს ომს გამოუცხადებს? — იურიდიულად, იგი, უკვე, მოვალე იქნება ეს გააკეთოს, ვინაიდან მე-5 პუნქტი იმ ტერიტორიაზე გავრცელდება, რომელსაც დღეს საქართველო აკონტროლებს. ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, რომ ჩვენ, შეიძლება, რასმუსენის წინადადება მივიღოთ, მაგრამ ნატოს წევრი ქვეყნების ნახევარიც კი არ დათანხმდება. აღარაფერს ვამბობ საფრანგეთზე, გერმანიაზე, იტალიაზე, ბევრი ისეთი პატარა ქვეყანაც იტყვის უარს, რაზეც დღეს, წარმოდგენა არ გვაქვს. ისინი იტყვიან: რუსეთი ხვალ რას მოიმოქმედებს, არავინ იცის. მან, ხვალ ან ზეგ საქართველოს რაღაც ნაწილი კიდევ რომ მიითვისოს, ჩვენ, იძულებული ვიქნებით ომი დავიწყოთო. რუსეთთან ომი კი გამორიცხულია. რუსეთთან ომს ნატოს ყველა წევრი სახელმწიფო გამორიცხავს. ასე, რომ ეს პანაცეა არ არის. თუმცა, ჩვენ შეგვიძლია დიპლომატიურ მიზნებში და იმისათვის, რომ როგორღაც ნატო უფრო გავააქტიუროთ, დავთანხმდეთ და ვთქვათ: კი ბატონო, ჩვენ თანახმა ვართ ოღონდ, მოგვეცით მყარი გარანტია, რომ ხაშურთან მომხდარი ინციდენტის მსგავსი აღარ განმეორდება. ისე კი არა როგორც დღეს, ყველა ამერიკელი თუ ევროპელი პოლიტიკოსი დაუღალავად იმეორებს: ჩვენ, საქართველოს გვერდით ვართ, მხარს ვუჭერთ, მაგრამ ეს მხარდაჭერა და გვერდში დგომა სად აისახება, მეორე საკითხია. ამიტომ, ასეთ ემოციურ დონეზე წინადადების მიღება ან უარყოფა, სახელმწიფო პოლიტიკა არ არის. კი, არის დადებითიც, უარყოფითი მომენტებიც და რასაკვირველია, არის რისკებიც. არსებობს შემდეგი რისკი: როდესაც რუსეთი დაინახავს, რომ შეიძლება ნატომ ეს შეკვეცილი საქართველო მე-5 პუნქტის იურისდიქციაში მოახვედროს, იგი ბორდერიზაციის პროცესს კიდევ უფრო გააქტიურებს. ამის რისკი რეალურად არსებობს. რაც, ახლა, კონფერენციაზე ითქვა, ელემენტარულად პროვინციალიზმი და უვიცობაა ამის გამო უცებ განგაში ავტეხოთ — ეს არ შეიძლება ან ძალიან კარგიაო. ორივე ვარიანტს სერიოზული რისკების შესწავლა სჭირდება და არა პროპაგანდისთვის პრობლემის გამოყენება. აი, ასეთია რეალობა. თუმცა, ჯერ ეს არაფერს ნიშნავს. რასმუსენს აღნიშნული წინადადება არავისთან შეუთანხმებია. მას, დღეს, ნატოს ქვეყნების წევრებიდან ერთი მომხრეც არ ჰყავს. ბუნებრივია, ის, რომ ქართულმა მხარემ — ჩვენმა პროდასავლურმა ძალებმა, იგივე, „ნაცმოძრაობამ“, „ევროპულმა საქართველომ“ ეს მიიღო და მოიწონა. სხვა რამ, არც იყო მოსალოდნელი, მაგრამ ესეც ემოციაა. ამ საკითხზე, ვერც მომხრეებისგან და ვერც მოწინააღმდეგეებისგან, დასაბუთებული არგუმენტაცია ჯერ ვერ მოვისმინე. რასაკვირველია, სერიოზულად ვერ მივიღებ ვერც „ნაცმოძრაობის“ ასეთ ეიფორიას და ვერც „პატრიოტთა ალიანსის“ პესიმისტურ პროგნოზებს.



— რასმუსენმა ასევე განაცხადა: თუ საქართველოს ხელისუფლება იტყვის, რომ მზად არის ნატოში აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის გარეშე შევიდეს, მაშინ პუტინი საქართველოს წევრობას ნატოში ვეტოს ვეღარ დაადებსო. ეს რას ნიშნავს? თქვენ, ახსენეთ: ნატოში შესვლით ბორდერიზაციის პროცესი შეჩერდებაო, მაგრამ სამაგიეროდ, ოკუპირებულ ტერიტორიებს დავკარგავთ?

— პუტინმა, თუ შეძლო, იგი, საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ყოველთვის დაადებს ვეტოს, თუმცა, მას ამის არავითარი იურიდიული უფლება არ აქვს. რას ჰქვია ვეტოს დაადებს? ეს, უკვე, საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში არ ჯდება. ჩვენ რა რეალობა გვაქვს? — თამარ, მოდით რეალისტები ვიყოთ — უახლოეს მომავალში ვერ ვხედავ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ-ოსეთის დაბრუნების პერსპექტივას. ჩვენ არასოდეს შევეგუებით ტერიტორიების დაკარგვას. ეს ერთი საკითხია, მაგრამ მეორე მხრივ, რეალობა ისეთია, რომ ამ ტერიტორიების დაბრუნება, განჭვრეტ მომავალში, დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ამიტომ, ვიმეორებ, რასმუსენის ზეპირი განცხადება არ არის სოლიდური, სერიოზული, ეს, უბრალოდ, ბავშვური აცუნდრუკებაა ის, რომ უცხოელი, არამოქმედი დიპლომატის ზეპირ განცხადებას ასეთი აჟიოტაჟი მოჰყვეს. რასმუსენი, დღეს, არც გენერალური მდივანია და არც იმის ბერკეტები გააჩნია, რომ ეს წინადადება ნატოში გაიტანოს. ნატოს ბევრი წევრი ქვეყანა ამ წინადადების წინააღმდეგ წავა. მათი ლოგიკა ასეთია: კი, ჩვენ, ვიკისრეთ ამ ქვეყნის დაცვა, მაგრამ პუტინმა ხომ იცის, რომ ნატო ომს არ დაიწყებს. ამიტომ, იგი, ბორდერიზაციის პროცესს გააგრძელებს და შეიძლება ჩვენდაუნებურად ომში აღმოვჩნდეთ ჩართულიო. შეხედეთ, საფრანგეთის პრეზიდენტის ახალ ინიციატივას. ეს ყველაფერი ერთმანეთთან ურთიერთკავშირში უნდა განვიხილოთ და არა ცალ-ცალკე. საფრანგეთი დღეს, თითქმის, ევროპის პოლიტიკური ლიდერი ხდება. პრაქტიკულად, მან გერმანია ჩააჩოჩა და თვითონ ხდება პოლიტიკური ლიდერი. საფრანგეთი, უკვე, რუსეთთან ახალ ურთიერთობებზე, დისკუსიაზე, დიალოგზე საუბრობს. როგორ ფიქრობთ, ამ დროს, საფრანგეთი ადგება და იტყვის: კი ბატონო, მოდით, საქართველოს რაღაც ნაწილი თუ საჭირო გახდა ომით დავიცვათო? — ეს გამორიცხულია. მიკვირს, რატომ ვკამათობთ არარეალურ, ჰიპოთეტურ მოვლენებზე. ჩვენ ჯერ დოკუმენტიც არ გვაქვს. ნატოსგან რაიმე დოკუმენტი მივიღეთ? ჯერ ნატომ ოფიციალუ-

რად მოგვცეს დოკუმენტი მისი ყველა წევრის თანხმობით, ჩვენ, ეს შევისწავლოთ, თუ საჭირო იქნა ცვლილებები შევიტანოთ და მერე, რეფერენდუმზე გავიტანოთ. აი, ეს იქნებოდა ყველაზე სწორი. იმიტომ, რომ დღეს არც „პატრიოტთა ალიანსს“ აქვს უფლება ეს დაბლოკოს და არც „ნაცმოძრაობას“, რომ ამ წინადადებას მწვანე შუქი აუნთოს. ეს ყველაფერი დემაგოგიაა, რაც უფრო მეტ სიმწვავეს იძენს წინასაარჩევნო გარემოს გათვალისწინებით. რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს — აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვას, ეს ცალკე სამსჯელოა. ჯერჯერობით, რუსეთი არაფრის დაბრუნებას არ აპირებს. ჩვენ კი არა, ხომ ხედავთ რას აკეთებს იაპონიასთან მიმართებაში. მას იაპონია ძალიან სჭირდება ეკონომიკური ურთიერთობისთვის, ტექნოლოგიებისთვის, მაგრამ ერთი ციცქნა კუნძულსაც კი არ უბრუნებს, რომელიც ომის შედეგად ძალით წაართვა.

— ქართველმა ექსპერტებმა ამ თემის ცივი ომისდროინდელ გერმანიასთან შედარება დაიწყეს. ამბობენ: რუსეთის მიერ ანექსირებული გდრ-ი როგორც გაუერთიანდა ფრგ-ს, ჩვენც ისე გავერთიანდებითო.

— თამარ, ვის ეძახით თქვენ ექსპერტებს?! მაგალითად, მე, საქართველოში ამ საკითხების ექსპერტს არ ვიცნობ. ამ იარლიყს მათ, უბრალოდ, ჟურნალისტები აწებებენ — როცა არ იციან რა რეგალია მიაწერონ, ასეთ ხალხს ექსპერტებს, პოლიტოლოგებს ეძახიან. ჯერ ერთი, როგორ შეიძლება ამ ორი მოვლენის შედარება. გერმანიასთან სულ სხვა რეალობა იყო. იქ, გაერთიანება მაშინ მოხდა, როდესაც საბჭოთა კავშირის იმპერია დაინგრა. კი ბატონო, ახლა, რუსეთის იმპერია თუ დაინგრევა, მაშინ სულ სხვა რეალობა იქნება. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება ნატო სულ არ დაგვჭირდეს ისე აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ამიტომ, როგორ შეიძლება ასეთი პარალელების გავლება. საერთოდ, პარალელები ისტორიაში ძალიან სახიფათოა, ვინაიდან ერთ ეპოქას მეორესგან მილიონი ნიუანსი განასხვავებს. დღეს რომელი ჭკუადმყოფელი შეადარებს, გარდა ქართველისა ჟურნალისტები რომ ექსპერტს ეძახით, დღევანდელ რუსეთს 80-იანი წლების დასასრულის საბჭოთა კავშირს. პუტინს ვინ შეადარებს ადრეულ ელცინს. ამიტომ, მე, არც ვუსმენ ამ ექსპერტებს და თქვენი არ იყოს, არც მათ გვარებს ვიმახსოვრებ და არც ექსპერტებად არ მიმაჩნია. ეს „ექსპერტები“ შოუებში გამოჰყავთ, რათა ერთმანეთს დედა აგინონ და ლანძღონ. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ესენი უცებ ექსპერტები გახდნენ. ასეთი პარალელები სახიფათო და არასერიოზულია.

— ბატონო სოსო, საუბრისას ახსენეთ, ნატო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიას მე-5 პუნქტის იურისდიქციაში მოაქცევს და ასე არავინ მოინდომებს მის გამო რუსეთს ომი დაუწყოსო. თუმცა, რასმუსენმა გვითხრა: ნატოში შემოხვალთ, მაგრამ მე-5 პუნქტი არ ამოქმედდება ანუ, სამხედრო ძალებით მაინც ვერ დაგვეხმარებიან რუსეთის წინააღმდეგ. არადა, ნატოს არსი სწორედ მე-5 პუნქტია რაც გულისხმობს, რომ ერთ სახელმწიფოზე სამხედრო თავდასხმა განიხილება დანარჩენ წევრებზე თავდასხმად. თუ ეს მუხლი არ შეგვეხო, რა გვინდა ნატოში?

— რასმუსენის ამ ფორმულამ შეიძლება, უბრალოდ, დემაგოგებს არგუმენტი წაართვას. ისინი განა მარტო საქართველოში და რუსეთსში არიან. ნატოს წევრ ქვეყნებშიც არის ასეთი ხალხი, რომელთაც, ელემენტარულად, ჩვენს დასახმარებლად, თითის განძრევა არ უნდათ. მათი დემაგოგია ესაა: რა ვქნათ, ახლა, საქართველოს გამო ხომ არ ვიომებთ, სოხუმისა და ცხინვალისთვის რუსეთს ვეომოთო? მთელმა ევროპამ ცხინვალი რუკაზეც არ იცის სად არის. ეს დემაგოგიაა. დიდ საერთაშორისო პოლიტიკაში ასე უხეშად იდეის შემოგდება არ ხდება. რასმუსენმა გააკეთა განცხადება, მაგრამ ამაზე ნატოს წევრი ქვეყნების მხრიდან არცერთი კომენტარი არ წამიკითხავს.ე.ი. იქ, ეს სერიოზულად არავინ მიიღო. საინტერესო იცით რა არის? — ეს სერიოზულად მარტო ჩვენ მივიღეთ. ვიმეორებ, ნატო არავითარ შემთხვევაში არ

დაუჭერს ამ იდეას მხარს. იმიტომ, რომ მათთვის სულერთია რუსეთთან მარტო მცხეთის გამო მოუწევთ ომი, თუ დღევანდელი საქართველოს გამო. საერთოდ, გამორიცხულია, საქართველოს გამო, ნატოსა და რუსეთს შორის ომი დაიწყოს. ასე, რომ რაზე ვკამათობთ, გაუგებარია. აქედან უნდა ამოვიდეთ. ისევე როგორც გამორიცხულია შერიგება და რაღაც მაიმუნობა. შერიგების სამინისტროში ხუთი-ექვსი კაციაო ამბობენ, მაგრამ დღემდე არ მესმის იმ ხუთ-ექვს კაცსაც რატომ ვუხდით ხელფასს.

— წეღან, „სტრატეგიული პარტნიორები“ ახსენეთ. პარტნიორები ვართო გაიძახიან, მაგრამ შედეგად მხოლოდ შეშფოთებას ვიღებთ, მათი რეაქცია ნულია.

— დიახ, მათი მხარდაჭერა გამოიხატება იმაში, რომ იგივე, პაშე რეზოლუციას მიიღებს. რუსეთი ევროსაბჭოში დაბრუნდა და შეიძლება ეს რეზოლუციაც დაბლოკოს. ასეთი რეზოლუცია იმდენი მიღებულა, ერთი ბიბლიოთეკა გაივსება. ისინი, უბრალოდ, ზალკანიანს ახსოვს ზეპირად, ყოველი საჯარო გამოსვლის წინ გადახედავს-ხოლმე და იმეორებს, თითქოს, თავის მიღწევა იყოს. სხვა რა ლოგიკაა ამაში, ვერ ვხვდები.

— ბატონო სოსო, მერკელმა გააკეთა განცხადება: აშშ ავტომატურად აღარ დაიცავს ევროპასო. ეს რაზე მიუთითებს?

— ეს ძალიან ცუდია. ეს ნიშნავს, რომ ტრამპისთვის მხოლოდ ერთი ქვეყანაა მნიშვნელოვანი, რომელსაც დაიცავს და მისთვის ომსაც დაიწყებს. ეს არის ისრაელი. აქაც, ცალმხრივად, მსჯელობა არ შეიძლება. იგივე, ტრამპმა რამოდენიმე დღის წინ მიიღო გადაწყვეტილება F35 — სტრატეგიული ბომბდამშენები პოლონეთს მიჰყიდოს. ანუ, 5 ნახევარი მილიარდი დოლარის იარაღი მიჰყიდოს და კიდევ, დამატებით ათასი ჯარისკაცი პოლონეთში ჩავიდეს, სადაც მუდამ, სტაბილურად იქნებიან ამერიკელი ჯარისკაცები. დღესდღეობით, ჯარისკაცების რაოდენობა 4–5 ათასს შეადგენს და ამას კიდევ ემატება. აი, ეს ხდება ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, ტრამპი იძახის: ევროპელებო ფული გადაიხადეთ, თუ არადა საკუთარი თავი თვითონ დაიცავითო. ამიტომ, ცალსახად მსჯელობა არ შეიძლება, ეს დემაგოგია და უვიცობაა. თვითონ ის ფაქტი, რომ ამერიკა პოლონეთს აღმოსავლეთ ფრონტზე სტრატეგიულ ჯებირად განიხილავს, ეს უკვე, რასაკვირველია, ბევრი რამის მომასწავლებელია. 6 მილიარდი დოლარის იარაღის პოლონეთისათვის შესყიდვა, ეს რუსეთისათვის საჩუქარი ნამდვილად არ არის. ეს უკანასკნელი ერიდება ტრამპთან ურთიერთობის გამწვავებას და ცოტას ბუზღუნებს. რაც შეეხება ჩვენთან, საგარეო პოლიტიკა სერიოზული კვლევის ობიექტი არასოდეს ყოფილა. იმიტომ, რომ აქ, საგარეო პოლიტიკის სერიოზული მკვლევარი არ არსებობს. ერთი მხარე ამბობს: ყველაფერი კარგადააო, მეორე ამბობს: ყველაფერი ცუდადაო. ყველაფერში პოლარიზებულნი არიან. ელემენტარულად, იმასაც ველოდები, ზაფხულში დიდი სიცხე რომ იქნება „ქართული ოცნება“ იტყვის: უჰ, როგორ ცხელაო და „ნაციონალები“ პასუხად იტყვიან: სად არის სიცხე, გამყინვარებაა. ამინდზეც ვერ შეთანხმდებიან. შიდა დაპირისპირება სულ უფრო და უფრო მწვავდება. მე თუ მკითხავთ, ეს ყველაზე მეტად საშიშია. ეს რასმუსენის განცხადებაზე მეტადაც საშიშია, ბორდერიზაციაზეც, პუტინზეც და ყველაფერზე. შიდა დაპირისპირება რომელიც დღითიდღე უფრო და უფრო მწვავდება, აი, რა არის მთავარი პრობლემა.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ხაზარაძის ყაჩაღ ბიზნესმენთა „რაგბის“ გუნდს, „ლელოს“, ძველი „ყაჩაღი-რაგბისტი“ თემურ ჭყონიაც შეემატა

მამუკა ხაზარაძის მიერ დაარსებულ-პრეზენტირებულ საქართველოს „გადამრჩენობაზე“ პრეტენზიის მქონე მოძრაობას, შეიძლება კიდევ ერთი „პატრიოტ-ქველმოქმედი“, „კოკა-კოლასა“ და „მაკდონალდსის“ ადგილობრივი მწარმოებელი თემურ ჭყონია შეემატოს. ბატონი ჭყონიას „ინდუსტრია“ მარტო ამ ორი კომპანიით არ შემოიფარგლება, „სილქ როუდ ბანკი“ და ლუდსახარში „კასტელ საქართველოც“ მისი კუთვნილებაა, ლუდ „არგოსა“ და „კალტენბერგსაც“ ეს „მრავალპროფილიანი“ ბიზნესმენი აწარმოებსო, შემახსენა რესპოდენტმა, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკმა დავით გაგნიძემ. ხაზარაძესა და ჭყონიას ბიზნესწარსულებში კიდევ ერთი ანალოგია ჰქონიათ, როგორც თავადვე აცხადებენ, ბიზნესი რუსეთში დაუწყიათ. როგორც ირკვევა, ხაზარაძის 500 დოლარით დაწყებულ ბიზნესს, რუსეთში ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ ერთი მილიონი რუბლი რომ უშოვნია, სამშობლოში დაბრუნებულა ეს „პატრიოტი“ ბიზნესმენი. ჰოდა, დაბრუნდა ეს „უმწიკვლო“ ადამიანი საქართველოში და ყოველგვარი სახელისუფლებო ხელწაკვრის გარეშე დააგროვა თურმე უზარმაზარი ქონება და უმსხვილეს ბანკირ-ბიზნესმენად იქცა. დიდ საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ მის მფლობელობაშია სამშენებლო კომპანია „ემ კვადრატი“. მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, „ევროპულ საქართველოს“ გამიჯნულ ელენე ხოშტარიას და გიგი უგულავას მალე ხაზარაძის გვერდით ვიხილავთ. ეს არც იქნება გასაკვირი, რადგან ქალბატონი ხოშტარიას მეუღლე ხსენებული სამშენებლო კომპანიის თანამშრომელი ყოფილა. ეს ინფორმაცია ჩვენმა ადრინდელმა რესპოდენტმა მოგვაწოდა, მეტრო „რუსთაველის“ მიმდებარედ მიმდინარე მშენებლობას ვაპროტესტებდით მეზობლები, „ოპოზიციონერმა“ ხოშტარიამ მხარდაჭერის გამოსაცხადებლად მაშინვე მოირბინა, როცა გაიგო მშენებელი „ემ კვადრატი“ იყო, მას მერე თვალით აღარ გვინახავსო. რაც შეეხება ექს-მერ უგულავას, მისი სამშენებლო „ვნებანის“ შესახებაც კარგადაა ცნობილი, არც ისაა გამორიცხული, უგულავა-ხაზარაძეს ერთობლივი ინტერესი მანამდეც ჰქონდათ ამ სფეროში. ასე რომ, კოლექტიური ნაცების მხრიდან ხაზარაძისა თუ სხვა ბანკირებისა და ბიზნესმენების მიმართ გამოთქმული მხარდაჭერა, ჰუმანიზმითა და კეთილშობილებით არ ყოფილა ნაკარნახევი.

თემურ ჭყონისა და „კოკა-კოლას“ ხსენებაზე, იმ ადამიანებს, ვინც გულმავიწყობასა და მეხსიერებას არ უჩივის, რამდენიმე მილიონდოლარიანი თურქული კრედიტი ახსენდება, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისში ამ წარმოების საქართველოში დამნერგავ-პიონერებს უბოძეს. იმ პერიოდში ძალიან აქტიურად დადიოდა ეს ხმები. იმასაც ამბობდნენ, რომ კერძო კომპანიების მიერ აღებულ უზარმაზარ კრედიტებს, რატომღაც სახელმწიფო უდგებოდა გარანტად, შიდა ვალში იღებდა. ძალიან საინტერესოა, გადაიხადეს თუ არა ეს ვალი, გადახდის შემთხვევაში, ვინ დაფარა კრედიტი, სახელმწიფომ თუ „კოკა-კოლამ“? როდესაც საქართველოს საგარეო და შიდა კოლოსალურ ვალებზე ვსაუბრობთ, შემთხვევით ის თანხები ამ „პატიოსანი“ ბანკირებისა თუ ბიზნესმენების საქმიანობის დაწყება-განვითარებას და გამდიდრებას ხომ არ მოხმარდა, რომელიც მარტო ჩვენმა შვილებმა კი არა, შვილიშვილებმაც უნდა იხადონ?

დავით გაგნიძის განცხადებით, თემურ ჭყონიას 2017 წელს, სომხეთში უნდოდა „მაკდონალდსის“ სამი თუ ოთხი ობიექტის გახსნა თითო ობიექტის მოწყობას დაახლოებით სამი მილიონი ევრო მაინც ჭირდება, იმ დროს, როცა ყველას ვეხვეწებით, რომ საქართველოში ინვესტიცია ჩადონ, ჭყონიას სახელმწიფოს და ქართველი ხალხის ხარჯზე ნაშოვნი ფული, მინიმუმ ცხრა მილიონი ევრო საზღვარგარეთ გაჰქონდაო. საქართველოში პირველი კოკა-კოლა 1993 წლის 30 ივნისს ჩამოისხა, 1999 წელს კი ჭყონიამ უკვე „მაკდონალდსი“ შემოიყვანა, თბილისის გარდა ფილიალები აქვს ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდსა და რუსთავში. რაც შეეხება ლუდსახარშ „კასტელ-საქართველოს“, ეს კომპანია თემურ-წარმატებულს 2013 წელს შეუძენია.

დავით გაგნიძე: „ჭყონიამ შეიძლება მართლაც რუსეთში დაიწყო ბიზნესი, მაგრამ ასე ვთქვათ, წვრილფეხობას წარმოადგენდა, სერიოზული ფული საქართველოში იშოვეს, ოღონდ რუსეთიდან მხარდაჭერით. ამ კონტიგენტს ელცინის ფრთის, ანუ ლიბერალების პატრონაჟის ქვეშ მყოფებად მოიხსენიებენ. 90-იანი წლების დასაწყისში რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის კრედიტი აიღეს ქართველმა ე.წ. ბიზნესმენებმა, ჩემი ინფორმაციით, ჭყონიას დაახლოებით რვა მილიონამდე დოლარი ერგო, დანარჩენი სხვებმა წაიღეს. უბედურება ისაა, რომ როგორც მაშინ ამბობდნენ, ეს ვალები სახელმწიფოს აჰკიდეს, ბიუჯეტმა გადაიხადა უზარმაზარი თანხები, ესეც ხომ მოსახლეობას დააწვა მძიმე ტვირთად, რომელსაც 90-იანი წლების პირველ ნახევარში განვითარებულმა ჰიპერინფლაციურმა პროცესებმა, მთელი დანაზოგი ნაცარტუტად უქცია. სამაგიეროდ გამოჩნდნენ ეს ე.წ. ახალი სახეები, რომლებიც უცებ სერიოზულად გამდიდრდნენ. ედუარდ შევარდნაძის პირველ და ერთ-ერთი ყველაზე უმძიმეს დანაშაული იყო ეროვნული ფულადი ერთეულის დაგვიანებით შემოღება და მერე ლარის წინამორბედი კუპონის კატასტროფული გაუფასურება. ქვეყანის პირველ პირს თუ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გინდა, ყოფილი იმპერიის მემკვიდრის ფულზე, ანუ რუბლზე არ უნდა აწარმოო შენი ქვეყნის ეკონომიკა. შევარდნაძემ კი სამხედრო გადატრიალების შემდეგ, თოფის ლულები გაციებულიც კი არ იყო, რომ მასობრივი პრივატიზაციის პროცესი წამოიწყო ზუსტად ამ რუბლის მეშვეობით. მისმა რამდენიმე წლის „ნაშიმშილარმა“ პარტიულმა ელიტამ და ე.წ. წითელ ინტელიგენციამ, ცდუნებას ვერ გაუძლეს და „პრიხვატიზაციის“ შედეგად „დათრეული“ ობიექტების სასწრაფოდ გაპრავება დაიწყეს. ერთი წლით ადრე, 1991 წლის 9 აგვისტოს, საქართველოს უზენაეს საბჭოს მიღებული ჰქონდა კანონი, რომლის თანახმადაც განსაზღვრული იყო ის ობიექტები, რომლებიც პრივატიზაციას არ ექვემდებარებოდა. შევარდნაძის მმართველობისას თავიდან მცირე საწარმოების პრივატიზაცია ხდებოდა, ძირითადად ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის სფეროში, რადგან ასეთი ობიექტები უმეტესად იქ იყო, მაგრამ ფარული პრივატიზაცია ყველა დარგის საწარმოსა თუ ობიექტს შეეხო. სააკაშვილის ხელისუფლების დროს კი, მასობრივმა აღებმიცემობამ „პიკს“ მიაღწია, კახა ბენდუქიძემ თურმე არც კი იცოდა, რას ნიშნავდა სტრატეგიული დანიშნულების ობიექტი, რომელიც პრივატიზაციას არ ექვემდებარებოდა.

ადრეც გითხარით, ედუარდ შევარდნაძემ შეაგროვა სამას ოჯახამდე, ვგულისხმობ „დანიშნულ“ ბანკირებსა და ბიზნესმენებს, რომლებსაც ყოველმხრივ უწყობდა ხელს. ჭყონია და ხაზარაძეც მაგ სიაში მოიაზრებიან. შევარდნაძე რომ უანგაროდ არ შეუქმნიდა ამათ სასათბურე პირობებს, ორი აზრი არ არსებობს, თავის „წილს“ აუცილებლად მიიღებდა. იმ პერიოდში ხუმრობდნენ, შევარდნაძე ქრთამს არ იღებს, სამაგიეროდ იღებს მასთან ფრიად დაახლოებული მაღალჩინოსანსო (არ მინდა ამ ადამიანის ვინაობის დასახელება), შეიძლება მისი მეშვეობითაც მიდიოდა „წილი“ შევარდნაძესთან. შევარდნაძის „პროტეჟეთა“ უმეტესობა სააკაშვილმა გადაიბარა. 2007 წლის დარბევების შემდეგ სააკაშვილი პრეზიდენტობიდან რომ გადადგა, საქმეში ჩახედულთა ინფორმაციით, პირველი ბიზნესმენი, ვინც სააკაშვილის „მეორედ მოსვლას“ აფინანსებდა, თემურ ჭყონია იყო. შეიძლება გახსოვთ კიდევ, 2013 წლის თებერვალში, ქობულეთში ჭყონიას წინააღმდეგ იქაურებმა საპროტესტო აქცია რომ მოაწყვეს, ამ „წარმატებულ“ ბიზნესმენს ქობულეთში სასტუმროს აშენება უნდოდა იმ მიწაზე, რომელიც სააკაშვილის მმართველობისას თითქმის მუქთად ჩაიგდო ხელში. რა გაგრძელება მოყვა ამ ამბავს და საერთოდ, რაც კი შემხებლობაშია, ყველაფერი გასაიდუმლოებულია. 2018 წელს, ჭყონიას თაღლითობაში სდებდნენ ბრალს, სს-ის საქმეც იყო აღძრული, ერთი წელი გავიდა უკვე, რა ეტაპზეა ძიება? ინტერნეტსივრცეში იყო ახლახანს ინფორმაცია, ჭყონიას თაღლითობას ედავებიანო, აქამდე სად იყვნენ, ჭყონია-ხაზარაძეს პოლიტიკური ამბიციები რომ გაუჩნდათ, ახლა გაახსენდა პროკურატურა-პოლიციას დანაშაული აქვს ჩადენილიო. ჭყონიასთან ერთად, ხსენებულ საქმეში ეროვნული ბანკის აწ უკვე ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი მურთაზ კიკორიაც ფიგურირებდა, იცის საზოგადოებამ რას ეხებოდა ეს საქმე და ახლა რა ეტაპზეა?

1995 წელს დაარსდა საქართველოს ექსპორტ-იმპორტის ბანკი, რომელიც წერეთლის გამზირზე, „კოკა-კოლას“ ტერიტორიაზე განთავსდა, უფრო ზუსტად ე.წ.

ექსიმბანკი უფრო ადრე დაარსდა, მოგვიანებით გადმოვიდა ჭყონიას „სამფლობელოში“. ამ 65%-იან წილს თურქი და შვეიცარიელი ბიზნესმენები ფლობდნენ, 35%-ს კი ქართველი ბიზნესმენები, ფიგურირებენ თემურ ჭყონია და მურთაზ კიკორია, მაგრამ არ მგონია, ამ ორი პერსონით იყოს შემოფარგლული ქართული მხარე. ბანკის საწესდებო კაპიტალში, რომელიც ორ მილიონ დოლარს შეადგენდა, 1.300.000 დოლარი უცხოელების იყო, 700.000 დოლარი ქართველების, მაგრამ 1999 წელს შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილება შევიდა და საწესდებო კაპიტალის ოდენობა, უკვე ხუთი მილიონი დოლარი უნდა ყოფილიყო. მოკლედ, სავალდებულო იყო კაპიტალის გაზრდა ხუთ მილიონამდე, ამათ ეტყობა არ ჰქონდათ ამხელა თანხა და ქართულმა მხარემ მიიღო ერთპიროვნული გადაწყვეტილება, რომ სხვა ბანკთან გაერთიანებულიყვნენ. კი ამბობენ, რომ ვითომ ჭყონიამ მიიღო გადაწყვეტილება, მაგრამ არ მგონია, მარტო ჭყონიას ბრალი იყოს. გადაწყდა შემოეყვანათ „დისკონტ ბანკი“, ეს სახელია მითითებული, საქმე იმაშია, რომ ამ დასახელების ორი ბანკი არსებობს. პირველი 1935 წლის 5 აპრილს დაარსდა დღევანდელი ისრაელის ტერიტორიაზე, სახელწოდებით „პალესტინის სააღრიცხვო ბანკი“, მოგეხსენებათ, ისრაელი მოგვიანებით, 1947 წელსს, სტალინის დიდი ძალისხმევით შეიქმნა პალესტინის ტერიტორიაზე, ოღონდ ბანკის დამფუძნებლები თუ პერსონალი, ყველა ებრაელები იყვნენ. მეორეა რუსეთში, მოსკოვის კომერციული ბანკი იმავე სახელწოდებით და „ჭყონია და კომპანიის“ იმპორტირებული პარტნიორი, ეს უკანასკნელი მგონია. 2006 წლის 1 სექტემბერს, რუსულ „დისკონტ ბანკს“ რუსეთის სახელმწიფო ბანკმა (ეროვნული ბანკი) ლიცენზია შეუჩერა, რადგან „დისკონტელებმა“ რამდენჯერმე დაარღვიეს რუსეთის ფედერალური კანონები, თუნდაც ქონების ლეგალიზაციის შესახებ, რომელიც დანაშაულებრივი გზით იქნა მიღებული, ამხილეს სხვადასხვა ფინანსურ მაქინაციებში და რაც მთავარია, ტერორიზმის დაფინანსებაში. ერთი სიტყვით, ამ ბანკს ძალზე საეჭვო რეპუტაცია ჰქონდა, ავსტრიის პოლიცია იძიებდა მასთან დაკავშირებით საქმეს. საქმე იმაშია, რომ რუსეთის მსხვილ ჩინოვნიკებს ამ ბანკის მეშეობით გაჰქონდათ საზღვარგარეთ რუსეთში უკანონო გზით მოპოვებული ფული. უზარმაზარ თანხაზეა საუბარი, ათეულობით მილიარდებზე, რომელიც რა თქმა უნდა ოფშორულ ზონებშიც იქაჩებოდა, ძირითადად, კვიპროსში და ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე მდებარე ოფშორულ ბანკებში.

„დისკონტ ბანკს“ რუსეთში კი შეუჩერეს მუშაობის უფლება, მაგრამ სავარაუდოდ, საქართველოში გადმოვიდნენ. აღსანიშნავია, რომ რუსეთიდან ფულადი სახსრების მასობრივი გადინება 2001–2002 წლებიდან მოხდა, სასწრაფოდ დაიწყეს ფინანსების საზღვარგარეთ გადაქაჩვა. ეს ხდებოდა კარგად ორგანიზებული სქემის მიხედვით, წარმატებით ასრულებდნენ თავიანთ საქმეს, ჩინოვნიკების მიერ ხალხისთვის მოპარული აღურიცხავი ფულის უკანონო გადინებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სქემაში „დისკონ ბანკის“ გარდა, რუსეთის სხვა ათეულობით კომერციული ბანკიც იყო ჩართული, მათ შორის ვითიბი ბანკიც. ამ ფინანსურ მაქინაციებში ძალიან დიდი როლი ეკავათ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებიდან რუსეთში

სამუშაოდ ჩასულ ხალხს, ე.წ. გასტერბაიტერებს. მათთან მიდიოდნენ „დისკონტ ბანკის“ (სხვა ბანკებისაც) წარმომადგენლები, ან მათი შუამავლები და სთავაზობდნენ, რომ საკუთარ ქვეყანაში გადაეგზავნათ გარკვეული თანხა, ვთქვათ, 10.000 დოლარი ახლობლის სახელზე, საიდანაც ამ პიროვნებას 100 თუ 150 დოლარი გასამრჯელოდ დარჩებოდა. საქართველოდან წასულებსაც ჰქონდათ ასეთი შეთავაზება, მე თვითონ ვარ შემსწრე, გადმოგზავნიდნენ საქართველოში მავანი რუსი ჩინოვნიკის ფულს, მივიდოდა აქაური მიმღები ბანკში, მას მხოლოდ თავის „გასამრჯელოს“ გადაუხდიდნენ ბანკის წარმომადგენლები და დანარჩენ თანხას, პირდაპირ საზღვარგარეთ რიცხავდნენ ხსენებული ჩინოვნიკების ანგარიშებზე. მოკლედ, მთელი პოსტსაბჭოთა სივრცე ეხმარებოდა რუს ჩინოვნიკებს, ნაპარავი ფულის რუსეთს გარეთ გადაქაჩვაში. საქართველოდანაც იგივე სქემებით ექაჩებოდნენ ოფშორულ ზონებში ადგილობრივი ჰალსტუხიანი ყაჩაღები ხალხისთვის მოპარულ ფულს, მერე ვითომ ინვესტიციებად რომ შემოაქვთ უკან.

რუსეთის პრეზიდენტს როგორც კი შეატყობინეს „დისკონტ ბანკის“ და სხვა რუსული ბანკების ზემოხსენებული „მოღვაწეობის“ შესახებ, მაშინვე ჩავიდა ავსტრიაში, ყველაფერს ბოლომდე გაეცნო შესაბამისი ღონისძიებებიც გაატარა, ბოდიში მომითხოვია, დედა უტირა ყველას პუტინმა. თუკი რუსეთი ყველაფერს იკვლევს და იძიებს, ჩვენთან რატომ არ უშვებენ სამართალდამცავებს ბანკებში მოკვლევის ჩასატარებლად, გგონიათ აქ ნაკლები ამბები ხდება? ამდენი წლის მერე რატომ უნდა გაგვეგო, რომ საქართველოს ბანკებიც იყო ჩართული რუსული ფულის ოფშორებში გადაქაჩვაში? როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც ტრანზიტის ფუნქციას ასრულებდა საქართველო. ადრეც გითხარით, საქართველოში, რომელიც ძალზე ფეთქებადსაშიშ რეგიონში მდებარეობს, იმიტომაც არ ხდება ტერორისტული აქტები, რომ არ აწყობთ მავანთ, რადგან აქ ხდება ყველა შეთანხმება და რატომ აურევენ სიტუაციას?! სხვათა შორის, რუსეთის ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი კოზლოვი, რომელიც ზემოხსენებულ აფიორა-მაქინაციებს იკვლევდა, ყველაფერი რომ ამოიღო და გაშიფრა, 2008 თუ 2009 წელს, თავის მძღოლთან ერთად მოკლეს. იმასაც ამბობდნენ, რომ ცენტრალური ბანკის პრეზიდენტიც იყო ჩართული ფულის გადაქაჩვის მაქინაციებში, რა თქმა უნდა ის მაღალჩინოსნები, ვინც გარეული იყვნენ ამ საქმეებში, აღარცერთი აღარ არის თანამდებობაზე. ჩვენთან ფაქტობრივად ხელშეუხებელნი რჩებიან ბანკები, შსს-ს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს წარმომადგენელი, ვიცე-პოლკოვნიკი მივედი „საქართველოს ბანკში“ სამსახურებრივი დავალებით, რომელი მოკვლევა-შემოწმება, ხუთი წუთი არ გამაჩერეს, ისეთი ამბავი ატყდა, რეკვები მთავრობასა თუ სამინისტროში, ასე რომ, ჩემი უშუალო ხელმძღვანელობა იძულებული გახდა უკან გამოვეწვიე. მერწმუნეთ, თვითონ ბანკირები ნიშნავენ თანამდებობებზე ხალხს, ადგილობრივ ბანკირებსაც ისეთი სისტემის შექმნა უნდოდათ, როგორც თუნდაც ამერიკაშია, მაგალითად ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყველა უფროსი ფინანსისტი, აშშ-ის ბანკების ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა. საბჭოთა კავშირსა და რუსეთში თუ უშიშროების სამსახურის და შსს-ს კადრები მოდიოდნენ ხელისუფლების სათავეში, ამერიკაში დღესაც ფინანსური კლანებიდან მოდიან, რომ ამ კლანების ინტერესები დაიცვან. იქ ფინანსები ატრიალებს ქვეყანას, ყველაფერი ბანკების ხელშია და რასაც უნდათ, იმას აკეთებენ. საქართველოშიც ცდილობენ ამ „ტექნოლოგიის“ დანერგვას. არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ, არ შეიძლება ეროვნულ ბანკსა და ხალხს შორის, კომერციული ბანკები იდგნენ, მართვის ხელოვნება ისაა, რომ პირველი პირიდან წამოსული ინფორმაცია (საწარმო იქნება, სამინისტრო თუ ნებისმიერი სხვა), რაც შეიძლება სწრაფად უნდა მივიდეს სულ ბოლო პერსონამდე. საქართველოში რას აკეთებენ, მგონი, სპეციალურად ქმნიან და აყენებენ შუაში ამ კომერციულ ბანკებს, რომ მოსახლეობასთან ხელისუფლების ურთიერთობას ეროვნული ბანკის სახით, ხელი შეუშალონ. პირდაპირი ურთიერთობა რომ იყოს ეროვნულ ბანკთან, არც ლარის კურსი იქნება ასეთი მერყევი და ინფლაციური, მაგრამ ეტყობა არ უნდათ ამ უსერიოზულესი ხარვეზის გამოსწორება“.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

(გაგრძელება იქნება)

ეს არ არის ქართული ამბავი, ეს ამერიკული ამბავია

ანუ ვინ გახსნა ტრამპის მოწინააღმდეგეების შტაბბინა თბილისში კოდური სახელწოდებით – გაერთიანებული ოპოზიცია

დედა, რა იყო ეს!

კაცი, ვაჟკაცი, ისტერიულად ყვიროდა და ქალბატონს ცხვირწინ უქნევდა ხელებს, თითქოს კრაზანები დაესია და იმათ იგერიებსო.

ხელების ეგეთი ქნევა, სიმართლე გითხრათ, პირველად ვნახე ცხოვრებაში, თუმცა მერე რომ დავაკვირდი, მივხვდი, რომ ხელების ქნევის ასეთი მანერა სადღაც მენახა.

ბოკერია! უცებ დამარტყა თავში, ბოკერია იქნევს ზუსტად ასე ხელებს, როცა რაღაცას გვატყუებს და გვაბოლებს.

მოკლედ, ბოკერია იქნევს ხელებს კრამერივით თუ პირიქით, კრამერი ბაძავს ბოკერიას, ეს ერთმანეთში არკვიონ, თუმცა, რაც ვნახეთ, ძალიან მძიმე სანახავი იყო.

თუ ვინმეს მიაყენა შეურაცხყოფა იმ დღეს დევიდ კრამერმა, პირველ რიგში, შეურაცხყოფა მიაყენა აშშ-ის პრესტიჟს, რის გამოც, დარწმუნებული ვარ, მას აუცილებლად მოსთხოვენ პასუხს.

არადა, გასაკვირია პირდაპირ, კრამერი ვინმე ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ხულიგანი ხომ არ არის — ფლორიდის საერთაშორისო უნივერსიტეტის მკვლევარი და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწეა.

პირველი კითხვა, რაც მისი საქციელის შემხედვარე ადამიანს გაუჩნდებოდა, ეს იყო: ამან რა უნდა იკვლიოს, ან ეს გაუწონასწორებელი ადამიანი როგორ და რანაირად ასრულებდა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოვალეობას?

არა მარტო კრამერი, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისა და მაკკეინის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია (ნახეთ, რა სოლიდურად და შთამბეჭდავად ჟღერს) ყალყზე შედგა და მთელი „სასტავით“ რადიკალურად დაუპირისპირდა ერთ ქალს.

რით დააშინა ერთმა ქალმა ეს ამდენი საერთაშორისო მნიშვნელობის ადამიანი ფრიად შთამბეჭდავი რეგალიებით?

რით დააშინა და სიმართლით, სხვა არანაირი იარაღი მას არ ჰქონია, რომ ამდენ ადამიანს შიშისგან კონვულსიური კრუნჩხვები დაწყებოდა.

მოვუსმინოთ თავად ქალბატონ ირმას:

„რა მოხდა და რატომ მოხდა გუშინ. პირველ რიგში, მინდა, დავიწყო დევიდ კრამერის დიდი ტყუილიდან, თითქოს ის მე არ მიცნობდა და წარმოგიდგინოთ ფოტო. მე და ბატონი კრამერი ერთმანეთს ვიცნობთ ჯერ კიდევ 2010 წლიდან. ფოტო გადაღებულია ვაშინგტონში, მის ოფისში. ჩვენ შევხვდოთ მას ჯერ კიდევ სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში. საუბარი იყო იმ ძალადობრივ ფაქტებზე, რასაც სააკაშვილის რეჟიმის დროს ადგილი ჰქონდა საქართველოში. თუმცა ეს იყო ძალიან მძიმე შეხვედრა. მაშინვე ცხადი გახდა ჩემთვის, რომ ბატონი კრამერი იყო სააკაშვილ-ბოკერიას რეჟიმის ძალიან აქტიური მხარდამჭერი. ის, რომ კრამერი არ მიცნობდა, არის დიდი ტყუილი. ძალიან კარგად მიცნობდა და კარგად იცის, რომ ვარ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე და პატრიოტთა ალიანსის გენერალური მდივანი. დასკვნა არის მარტივი — კრამერი არის მატყუარა და, გარდა იმისა, რომ არის მატყუარა, არის თავხედი და უზრდელი ადამიანი.

...არავითარი ჩაშლა ამ კონფერენციის განზრახული არ გვქონდა. მეტსაც გეტყვით, საერთოდ არ მივიდოდი ამ კონფერენციაზე, ერთ-ერთი მთავარი თემა რომ არ ყოფილიყო ბოკერიას მოხსენებაში „პატრიოტთა ალიანსი“ და ჩვენთან მიმართებით რომ არ გავრცელებულიყო უამრავი ტყუილი.

...ჩვენ უნდა ვუთხრათ ამერიკის საელჩოსთან ჩვენს ამერიკელ პარტნიორებს, რომ თქვენ არა ხართ ჩვენი დირექტორები. საქართველო არის სუვერენული სახელმწიფო. ჩვენ ვართ დამოუკიდებელი სახელმწიფო. ჩვენ გვაქვს ჩვენი ღირსება. ჩვენ ვთანამშრომლობთ თქვენთან, თქვენ ნამდვილად ხართ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩვენ არა ვართ თქვენი კოლონია და ჩვენ არ ვაპირებთ, გავხდეთ ან თქვენი კოლონია ან რუსეთის გუბერნია, საქართველო განვითარდება მომავალშიც, როგორც დემოკრატიული, დამოუკიდებელი, თავისუფალი ქვეყანა. ჩვენ უნდა ვუთხრათ ჩვენს ამერიკელ და დასავლელ პარტნიორებს, მხარს ნუ უჭერთ მწამებელ ბოკერიას, მწამებელ სააკაშვილს, რომლებმაც ჩაბარეს კოდორი და ახალგორი, ეს ძალიან აბრაზებს ქართველ ხალხს და სწორედ ეს აძლიერებს ანტიამერიკულ და ანტიდასავლურ განწყობებს“.

თითქმის ყველაფერია ნათქვამი ამ განცხადებებში. უფრო მეტი ითქვა 15 სექტემბერს ამერიკის საელჩოსთან გამართულ აქციაზეც, მაგრამ, ჩემი აზრით, შედარებით ნაკლები ყურადღება დაეთმო იმ ფაქტს, რომ არც კრამერი, არც მაკკეინის ინსტიტუტი, არც ბაიდენის ცენტრი არ წარმოადგენენ აშშ-ის ოფიციალურ ხელისუფლებას. არც იმაზე გამახვილებულა ყურადღება, თუ რა კავშირი არსებობს ამ საერთაშორისო კონფერენციასა და იმ აქციებს შორის, რომელიც თითქმის სამი თვეა პარლამენტის წინ უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს.

ამ ხარვეზს, ვფიქრობ. ნაწილობრივ ავსებს ჩემი წერილი „დიდი შეთქმულება ტრამპის წინააღმდეგ“, რომელიც „საერთო გაზეთის“ ფურცლებზე ამ ორი თვის წინათ დაიბეჭდა.

გთავაზობთ ფრაგმენტებს ამ წერილიდან:

„სანამ საუბარს დავიწყებდეთ, მანამდე შევთანხმდეთ, რომ ისევე, როგორც არსებობს ორი რუსეთი, ასევე არსებობს ორი ამერიკა. დღევანდელ სიტუაციაში ერთი ამერიკა არის ტრამპის ამერიკა, მეორე კი ტრამპს და მის იდეებს დაპირისპირებული ამერიკა — მაკკეინის, სოროსის, ჰილარი კლინტონის, ბაიდენის ამერიკა, ანუ აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ამერიკა, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლოდ არის დაპირისპირებული დონალდ ტრამპთან და მის იდეოლოგიასთან.

„ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც თავის დროზე ხელისუფლებაში სწორედ დემოკრატიული პარტიის უშუალო მხარდაჭერით და ამ პარტიის მთავარი ფინანსისტის სოროსის დაფინანსებით მოვიდა, დღემდე ინარჩუნებს მჭიდრო პარტნიორულ ურთიერთობებს დემოკრატიული პარტიასთან და მის ლიდერებთან.

ფაქტობრივად, „ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპულ საქართველოსთან“ ერთად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ერთგვარი რეგიონალური ფილიალია საქართველოში.

ასე იყო ეს მაშინაც, როცა ვარდების რევოლუციად მონათლული ფერადი გადატრიალების შედეგად სააკაშვილი სახელისუფლო ვერტიკალის სათავეში მოექცა, ასე იყო ეს იმ დროსაც, როცა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ყველაფერი გააკეთა აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის მაკკეინის მხარდასაჭერად.

თქვენ გახსოვთ მაკკეინის ჩამოსვლა საქართველოში, გახსოვთ, როგორი გრანდიოზული დახვედრა მოუწყვეს მას ნაციონალებმა, გახსოვთ, ავტომანქანები სანომრე ნიშნით „მაკკეინი“, გახსოვთ სამთავრობო დონეზე გამართული პომპეზური ღონისძიებები მაკკეინის საპატივცემულოდ და ა. შ.

როგორც ამბობენ, ჯონ მაკკეინი იყო ის პიროვნება, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის პროვოცირებაში. სწორედ ის აგულიანებდა და აქეზებდა ქართულ მხარეს და ავანტურიზმისკენ მიდრეკილ

მის ლიდერს მიხეილ სააკაშვილს, ჩაბმულიყო ამ ომში.

გათვლა ზუსტი იყო — რუსეთის წარმოჩენა, როგორც აგრესორის, როგორც მსოფლიო უსაფრთხოებისთვის საშიში ძალის, რომლის გასანეიტრალებლად ყველაზე პრაგმატული და სწორი იქნებოდა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი მაკკეინი გამხდარიყო — მაკკეინი — რუსთმოძულე, მაკკეინი — რუსეთის დაუძინებელი მტერი, რომლის მიმართ მაკკეინს პირადი ანგარიშები ჰქონდა.

მაკკეინის გაპრეზიდენტების გეგმა ჩაიშალა, მაგრამ სულ რაღაც ოთხ წელიწადში მას პრეზიდენტობის ახალი კანდიდატი ჰილარი კლინტონი ჩაენაცვლა.

ახლა კლინტონზე გადაიჭრეს ვენები ნაცებმა და ე.წ. დასავლური ორიენტაციის სხვა პარტიებმა — ერთად იკრიბებოდნენ, გამამახნევებელ წერილებს უგზავნიდნენ ქალბატონ ჰილარის, გამამახნევებელ წერილებს უგზავნიდნენ ქალბატონ ჰილარის, ღამეებს უთევდნენ, მაგრამ, ბევრისთვის მოულოდნელად, არჩევნებში დონალდ ტრამპმა გაიმარჯვა, რომელმაც ნეოლიბერალურ ღირებულებებს და გლობალიზმს, როგორც იდეოლოგიას, ღიად გამოუცხადა ომი.

ქართველ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი მას ამერიკელ ზვიად გამსახურდიასაც კი ეძახის, იმდენად ღრმად ეროვნულია ის პლატფორმა, რომელიც ტრამპმა თავისი პოლიტიკური გეგმების საყრდენად და საფუძვლად გამოაცხადა.

ტრამპი სოროსს თავის ნომერ პირველ მტრად მიიჩნევს, ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდა მას ჯონ მაკკეინთან, რომელმაც ანდერძად დაიბარა, რომ მის დასაფლავებაზე ტრამპი არ მიეშვათ. თუმცა ტრამპი არც აპირებდა იქ მისვლას, რადგან თვლიდა, რომ მაკკეინი ამერიკის ეროვნული გმირი კი არა, დამამცირებელ ტყვეობაში ნამყოფი სუბიექტი იყო.

სამაგიეროდ, საქართველოში მაკკეინის გარდაცვალება ლამის საყოველთაო-სახალხო ტრაგედიად გამოაცხადეს მისმა მთავარმა ჭირისუფლებმა — „ნაცმოძრაობამ“, სახე და სახელშეცვლილმა სხვა ნაცებმა, ე.წ. დასავლური ორიენტაციის სხვა წვრილ-წვრილმა პარტიებმა, რითაც კიდევ ერთხელ ხაზგასმით გამოხატეს უპატივცემულობა ტრამპისადმი.

რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს ეს სიტყვები, ტრამპს საქართველოში ჯერ კიდევ არ ჩამოუღწევია, სამაგიეროდ, ძველებური შემართებით აგრძელებენ მუშაობას ტრამპთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული ძალების მიერ წლების წინათ დაფუძნებული და მათ მიერვე დაფინანსებულო სტრუქტურები, რომლებიც თავიანთ ქართველ სატელიტებთან ერთად ფარულ ომს აწარმოებენ ტრამპისა და მის მიერ გატარებული პოლიტიკის წინააღმდეგ.

აშშ-ის დემოკრატიული პარტიის უკან დგას ჯორჯ სოროსი თავისი ფინანსებით, რაც მოიცავს მთელ ქართულ მედიას (რომელსაც აფინანსებს სწორედ აშშ-ის დემოკრატიის განვითარების ცენტრი), განათლების სისტემას, არასამთავრობოებს, ამ არასამთავრობოებიდან მთავრობაში ჩანერგილ კადრებს, თვით აშშ-ის საელჩოს საქართველოში და ა. შ.

უფრო ნათლად გეტყვით: ტრამპი დაუპირისპირდა გლობალიზმს, მაგრამ აშშ კვლავ რჩება გლობალისტების შტაბ-ბინად. ისინი დღემდე პირდაპირ უპირისპირდებიან ტრამპს სხვადასხვა მიმართულებით“.

ისმის კითხვა: აშშ-იდან ათასობით კილომეტრით დაშორებულ ისეთ პატარა, ჯერ კიდევ სუსტ, ნახევრად ოკუპირებულ სახელმწიფოს, როგორიც საქართველოა, რა სერიოზული გავლენის მოხდენა შეუძლია აშშ-ის პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართულ დაპირისპირებაში? ზედმეტად გაზვიადებული და გაბუქებული ხომ არ არის საქართველოს როლი ამ ზესახელმწიფოს, აშშ-ის, საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში?

თუ გავითვალისწინებთ იმ ამბავს, რომ სწორედ საქართველოა ის ქვეყანა, რომელსაც რუსეთთან, აშშ-ის მთავარ კონკურენტ სახელმწიფოსთან, თითქმის 26 წელია, ომი აქვს, საქართველოს ფაქტორი უაღრესად ხელსაყრელი და ეფექტურია რუსული პოლიტიკის დისკრედიტაციისთვის, საერთაშორისო დონეზე რუსეთის, როგორც არადემოკრატიული, ავტორიტარულ, აგრესორი სახელმწიფოს წარმოჩენისთვის.

ამ მიზნის შესანარჩუნებლად აუცილებელი პირობაა, არ დარეგულირდეს და მუდმივი კონფრონტაციის რეჟიმში იყოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, რისთვისაც საჭიროა, არ მოგვარდეს და დღის წესრიგიდან არ მოიხსნას ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური კონფლიქტი, როგორც მასაზრდოებელი წყარო რუსეთთან საქართველოს მუდმივი დაპრისპირებისა.

კარგად ინფორმირებული ადამიანების ინფრორმაციით, 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ ნამდვილი მიზეზი და საბაბი არა გაყალბებული არჩევნები (როგორც ამბობდნენ, „ნაცმოძრაობამ“, აგრეთვე, ზურაბ ჟვანიას ჯგუფმა თვითონ არივდარიეს საარჩევნო სიები და თვითონვე გააყალბეს შედეგები, მერე კი თვითონვე „აღმოაჩინეს“ მათ მიერვე ჩადენილი მაქინაციები, რომ ამით შეექმნათ მოტივი სახალხო პროტესტისა და მღელვარებისთვის) არამედ ის ფაქტი გახლდათ, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის მიღწეული იყო შეთანხმება აფხაზეთის საკითხის დასარეგულირებლად, რომლის ოფიციალური გაფორმება არჩევნების დამთავრების შემდეგ უნდა მომხდარიყო.

ვარდების რევოლუცია სწორედ ამ გეგმის ჩასაფუშად და აღსაკვეთათ მოხდა, თუმცა მიზეზად არჩევნების გაყალბება დასახელდა.

მოგვიანებით, ეს ყველაფერი 2008 წლის აგვისტოს ომით დაგვირგვინდა, რასაც რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება მოჰყვა, რითაც, ფაქტობრივად, შორეულ მომავალში გადაიწია ამ რეგიონების საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნების შანსმა.

საქართველო ამ ომით უკიდურესად დაზარალდა, სამაგიეროდ, იხეირეს იმ რეაქციულმა ძალებმა, რომლებისთვისაც უმთავრესი მიზანი იყო რუსეთისთვის ოკუპანტის იარლიყი მიეწებებინათ, საქართველოსთვის კი შეენარჩუნებინათ მთავარი ფუნქცია — სადგისის ფუნქცია რუსული უკანალისთვის.

ცხადია, შეურაცხმყოფელი და დამამცირებელია, გერქვას სახელმწიფო და ამ დროს სადგისად გიყენებდნენ, მაგრამ, როცა ეს სათაკილო საქმე უხვად ფინანსდება და თანაც ეს საქმე პატრიოტულ-ჰეროიკული შარავანდედით არის შეფუთულ-შებურული, ყოველთვის გამოჩნდებიან უნამუსო და სინდისგარეცხილი არამზადები, რომლებიც საკუთარ სამშობლოს ამ მწარე ხვედრისთვის დაუნანებლად გაიმეტებენ.

ოც წელზე მეტია, ქვეყნის ინტერესებით მოვაჭრე, ქვეყნის გამყიდველი უნამუსო და სინდისგარეცხილი არამზადების ჯოგი, სახელად „ნაცმოძრაობა“, პოლიტიკურ ასპარეზზე დაუსჯელად დათარეშობს და მისთვის ნიღბის ჩამოსხნა, მისი ამაზრზენი და შემაძრწუნებელი ანატომიის გაშიფვრა დღემდე ვერა და ვერ ხერხდება.

ქართველი ექსპერტები და ანალიტიკოსები, ქართველი პოლიტიკოსები სახელისუფლო გუნდიდან, როცა 20 ივნისს დაწყებული საპროტესტო აქციების შესახებ ლაპარაკობენ, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, უფრო ზუსტად, საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას ერთ უმნიშვნელოვანეს გარემოებას: რა უძღვოდა წინ 20 ივნისის ამბებს მსოფლიო პოლიტიკურ ცხოვრებაში.

რა უძღვოდა წინ და, როგორც ზემოთ ვთქვით, ტრამპის და პუტინის საოცრად გულთბილი შეხვედრა, სადაც ორივე მხარემ ერთმანეთის მიმართ ურთიერთპატივისცემა და მეგობრული განწყობა დააფიქსირა.

რა უძღვოდა წინ და, რუსეთისთვის სანქციების მოხსნა, რაც, უნდა ვივარაუდოთ, რომ პირდაპირ კავშირშია აშშ-ის პრეზიდენტის მიერ ღიად გამოხატულ კეთილგანწყობასთან პუტინის მისამართით.

ტრამპის მოწინააღმდეგეები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ტრამპისა და პუტინის შეხმატკბილებული დუეტი როგორმე დაშალონ, ამის მისაღწევად კი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება ის იქნება, რომ რუსეთს და მის ლიდერს იმდენად გაუტეხონ სახელი, რომ მასთან მეგობრობა და პარტნიორობა ტრამპისთვის პოლიტიკურად წამგებიანი იყოს.

როგორ შეიძლება ამის მიღწევა?

როგორ შეიძლება და საქართველოს ფაქტორის წინ წამოწევით და რუსეთ-საქართველოს შორის არსებული იმ მწვავე პრობლემის და დაპირისპირების კიდევ უფრო გამწვავებით და დუღილის ტემპერატურის იმ შკალამდე აყვანით, რომლის შემდეგ აფეთქება გარდაუვალია.

მათთვის იდეალური ვარიანტია, რომ რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ომი დაიწყოს.

უკვე გვესმის ხმები იმის შესახებ, რომ რუსეთმა შეიძლება საქართველოს ტერიტორიზე სამხედრო მოქმედებები განაახლოს.

ამერიკის სტრატეგიულ პარტნიორთან საქართველოსთან მეომარ პუტინთან ტრამპის მეგობრობა და თანამშრომლობა რომ ვერ გაგრძელდება, ფაქტია, რაც იმას ნიშნავს, რომ აშშ-ის მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში პუტინისგან დისტანცირებული ტრამპის პოზიციები სერიოზულად დასუსტდება, რაც ბაიდენს ან ტრამპის რომელიმე სხვა კონკურენტს გამარჯვების მეტ შანსს აძლევს.

არსებობს რეალური საფრთხე, რომ კვლავ განმეორდეს 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული სცენარი.

2008 წელს აგვისტოში საქართველო მაკკეინის გაპრეზიდენტების მცდელობისთვის გაიწირა, ახლა შეიძლება ტრამპის დასამარცხებლად და ბაიდენის გასაპრეზიდენტებლად გაიწიროს.

P. S. ეს წერილი დავამთავრე და წუხელ, 7 ივლისის საღამოს 9 საათზე გიორგი გაბუნიამ ვლადიმირ პუტინის მისამართით ისეთი „მონოლოგი“ წარმოთქვა, მსგავსი უხამსობა, მსგავსი სიბინძურე, მსგავსი სიბილწე არსად, არასოდეს, არავისგან არ მომისმენია.

ამ ფაქტმა კიდევ უფრო გამტკიცა და გაამყარა ის მოსაზრებები, რომ ეს ადამიანები არაფერზე არ დაიხევენ უკან, ოღონდ დასახულ მიზანს მიაღწიონ, მათი მიზანი კი ერთია — როგორმე რუსეთ-საქართველოს შორის ომი გაჩაღდეს, ხოლო, რა მოუვა ამ ომში საქართველოს, ეს მათ საერთოდ არ ადარდებთ“.

„საერთო გაზეთი“,
N25, 10 ივლისი, 2019 წ.

პარადოქსული სიტუაციაა ქვეყანაში — საქართველოში, ფაქტობრივად, მოქმედებს ქართული ოპოზიციური პარტიებისგან დაკომპლექტებული შტაბ-ბინა, რომელიც აქტიურად არის ჩართული ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანიაში და თავგამოდებით ცდილობს თავის უცხოელ პარტნიორებთან და დონორ ორგანიზაციებთან ერთად თავისი წვლილი შეიტანოს იმაში, რომ მომავალ არჩევნებში დონალდ ტრამპი აშშ-ის პრეზიდენტი ვერ გახდეს.

პარალელურად, ამ შტაბბინის მთავარი პერსონები, „ნაცმოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“, ტრამპთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულ თავის უცხოელ მოკავშირეებთან მჭიდრო თანამშრომლობის რეჟიმში შეეცდებიან ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ 2020 წელს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ სერიოზულ წარმატებებს ვერ მიაღწიოს, რადგან „ქართული ოცნება“ ხელისშემშლელ ფაქტორად აღიქმება იმ გეგმის განსახორციელებლად, რომლის მიხედვითაც საქართველო-რუსეთს შორის მუდმივი კონფრონტაცია და დაპირისპირება უნდა არსებობდეს.

როგორც ხედავთ, ეს არ არის ქართული ამბავი, ეს ამერიკული ამბავია...

რა გამოსავალი არსებობს ამ ჩიხური მდგომარეობიდან, ამის შესახებ „საერთო გაზეთის“ მომდევნო ნომერში ვისაუბრებთ.

ქვეყანა პოლიტიკური შიზოფრენიის პიკს უახლოვდება

ამას ადასტურებს ის აქციები, რომლებიც მესამე თვეა პარლამენტის წინ მიმდინარეობს

გვესაუბრება ანალიტიკოსი სოსო მანჯავიძე

— ბატონო სოსო, რა ხდება ნატოს მიმართულებით, რა უნდოდა რასმუსენს, კრამერს და ბრაიზას, ბოლო-ბოლო „რუმსში“ გადაწყდა ჩვენი ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის საკითხი?

— 2016 წლის პარლამენტის სიის დაკომპლექტება რომ მოხდა წიწამურში, ე.წ. „წიწამურელების“ მიერ, მე მაშინვე ვთქვი: ეს იქნება საქართველოს ისტორიაში ყველაზე ლიბერალური პარლამენტი და შეგვექმნება უდიდესი პრობლემები, რადგან არ ითვალისწინებენ კონტრლიბერალურ ტალღას და თანამედროვე მსოფლიოს ტრენდებს და ჩვენ გავხდებით ე.წ. ლიბერალური ჩრდილოეთ კორეა-მეთქი. სამწუხაროდ, ამ შეცდომის შხამიანი ნაყოფებს ვიმკით და ერთ-ერთი „ნაყოფი“ იყო კიდეც 20 ივნისის მოვლენები — გადატრიალების მცდელობა, სამწუხაროდ, საკამათო თემა გახდა პარლამენტში, არის თუ არა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შეჭრა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა.

ამ უაზრო კამათის დროს მოწინააღმდეგეთა მხრიდან ასეთი აზრებიც ისმოდა: დარბაზში კი არა, ეზოში შესვლა გვინდოდა და ეზოში შესვლა სახელმწიფო გადატრიალებას მცდელობას რატომ ნიშნავსო?!

პარლამენტში შეჭრა უნდოდათ, თან გმობდნენ ოკუპაციას, თან გავრილოვს აძაგებდნენ. რა შუაშია ესენი ერთმანეთთან? გავრილოვმა უბიძგა პარლამენტში შეჭრისკენ და ხელისუფლების დამხობისკენ? სრულიად ალოგიკური, პათოლოგიური და არალოგიკური ბმებია, თუ კარგად დავაკვირდებით.

გადავუხვევ თემას და გეტყვით: დავუშვათ, შეჭრილიყვნენ პარლამენტში. რა შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა? — მოხდებოდა არაჯანსაღი ძალების კონსოლიდაცია, მორიელებივით გამობობღდებოდნენ სოროებიდან და იარაღის გარეშე არ ჩაივლიდა ეს ამბავი. რაც მოხდა, ეს იყო „ვარდების რევოლუცია-2“-ის სცენარის განხორციელების მცდელობა და ამას თვითონაც არ მალავენ. დააკვირდით მათ მსჯელობებს და საუბრებს ვიდეოჩანაწერებში — დავამხოთ ხელისუფლებაო, პირდაპირ მოუწოდებდნენ.

— ხელისუფლება ამბობს — გადამტრიალებლები არჩევნებში დავამარცხოთო. რა ლოგიკაა, ბატონო სოსო, ეს?

— აბსურდის თეატრია, ჩემო კარგო და ამას რატომღაც მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ტაშს უკრავს. ეს არის ჩვენი დაბალი კულტურის მაჩვენებელი, რომელიც, სამწუხაროდ, უფრო და უფრო დაბლდება, რაც არის სწორედ ჩვენი მოღალატური ტელემედიების მიზანმიმართული ქმედებების შედეგიც.

გასაოცარი ამბავია: ადამიანთა ჯგუფი ახორციელებდა და აპირებდა სახელმწიფო გადატრიალებას და ამ მცდელობის გამო ორი კაცია მხოლოდ დაჭერილი — ერთი ირაკლი ოქრუაშვილი და მეორე ნიკა მელია, რომელსაც ეჟვანი აქვს ფეხზე შებმული.

ასეთია დემოკრატიაო.

ისტორიკოსი ვარ, ასე თუ ისე, რაღაცებში ვერკვევი, რაც ხდება საქართველოში, ასეთი პრეცედენტიც კი არ იცის ისტორიამ.

— ძალიან ავცდით პირველ კითხვას. რასმუსენის განცხადებაზე, კრამერზე და ნატოში გაწევრიანებაზე ვლაპარაკობდით.

— რასმუსენის განცხადება შეიძლებოდა ყოფილიყო სერიოზული, თუ ის გაახმოვანებდა ნატოს კონსოლიდირებულ პოზიციას, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა ქვეყნის შიდა მდგომარეობა, ტერიტორიების საკითხი, მეზობელი სახელმწიფოების ინტერესების საკითხი და ა. შ. აქ არა მარტო ჩვენს ქვეყანაზეა საუბარი, არამედ ეს არის სრულიად რეგიონალური საკითხი. რეგიონალური და გლობალური პოლიტიკის თემებზეა საუბარი და ამ დროს ნატოს ოფიციალური პოზიციისადმი მზაობა ჩვენი მხრიდან არ არსებობს, არც

რეალურად რომ დადგეს ნატოში გაწევრიანების საკითხი, მეორე დღესვე უნდა ველოდეთ აფხაზეთიდან რიკოთამდე რუსის ჯარს.

როგორც გითხარით, ამ საფრთხეებს მშვენივრად ხედავენ ნატოში, ეს თქვა კიდევაც აპატურაიმ.

— აბა, რატომ ატყდა ერთი ამბავი და თავის ტეხა ამ ბოლო ხანებში?

— საქმე ისაა, რომ თავად ნატოშიც ძალიან დიდი წინააღმდეგობებია.

იგივე ლიბერალური ფლანგი და კონსერვატიული თვალთახედვა მკვეთრად უპირისპირდება ერთმანეთს.

რასმუსენის და ამ ე.წ. წასულების (თანამდებობიდან გადამდგარების — ი.კ.) შეხვედრაზე გაცხადდა სწორედ ის, რაც ამ „წასულებს“ უნდათ — გარანტიების და ნატოში მიღების გარეშე საქართველოში საზოგადოებრივი აზრი იყოს მზად იმისთვის, რომ საქართველო მუდმივად ასრულებდეს რუსეთის გამაღიზიანებლის როლს, რომ წამოიკიდონ რუსეთი შემდგომ არასასურველ ქმედებებზე. როგორც ყოველთვის, ჩვეულებრივი გეოპოლიტიკური სატყუარას როლში ვართ.

სატყუარას გააქტიურების პროცესები კი მინდობილი აქვთ ბოკერიასთვის და „ნაცმოძრაობისთვის“.

ლიბერალები დასავლეთში, რომლებიც კავშირში არიან რუსეთის ლიბერალებთან, კონტაქტებს არ წყვეტენ ქართველ ლიბერალებთან, ბოკერიასთან და მისნაირებთან.

თუნდაც ის არის ყოველივე ამის მანიშნებელი, რომ რუსული კომპანიები, რომლებიც ოპერირებენ საქართველოში, არიან იმ ლიბერალური ჯგუფების კონტროლქვეშ მოქმედი კომპანიები.

იგივე ქაცარავას კავშირები „ალფა-ბანკთან“ და ა. შ. ამაზე მოწმობს და ადასტურებს, რომ ქაცარავას რუსეთიდან აფინანსებენ იმისთვის, რომ მუდმივად შეინარჩუნოს დაძაბულობა რუსეთ-საქართველოს შორის, კონფლიქტის ზონაში.

ეს ცნობილი ამბავია და დოკუმენტურად არის დადასტურებული.

დააკვირდით, როცა კი სიტუაცია დაიძვრება კონფლიქტის დარეგულირებისკენ, მომენტალურად იწყება პროვოკაციები ცხინვალში და ეს იმდენად გამართული მექანიზმია, რომ წლობით ნაშენები ურთიერთობები, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები, ერთ დღეში იმსხვრევა ხოლმე. ამის მაგალითი იყო გავრილოვის ინციდენტიც. საქართველომ განიცადა უზარმაზარი ზარალი და არავის არ უგია პასუხი ამაზე.

— ამ დღეებში ჟენევის ფორმატის ამოწურვის მცდელობისადმი მზადყოფნაზეც იყო საუბარი ახალ მთავრობაში.

— უკვე რამდენიმე წელია ამ ფორმატმა ვერაფერი სასარგებლო ვერ მოგვიტანა და არ მესმის, რაღა აზრი აქვს ან ამაზე ლაპარაკობენ. ეს ფორმატი ეხება ოკუპაციას, ანექსიას, ეთნიკურ წმენდას, ეს ფორმატი ეხება ადამიანთა ტანჯვას, ეს ფორმატი ეხება ადამიანთა ტანჯვას, ეს ფორმატი ეხება ადამიანთა ტანჯვ

რაკს, ან რაიმე იმედის ქონას ამ ფორმატში დიალოგის შესაძლებლობებზე. მაგრამ ჩვენ ხომ პროვოკატორის როლი გვაკისრია, და მოლაპარაკება რომ შედგეს ჩვენსა და რუსეთს შორის, ამ ფუნქციას რეგიონში ჩვენს მეტი ჩვენზე კარგად ვინ შეასრულებს?!

— შეიძლება ცოტა ნაადრევად გეკითხებით, მაგრამ, სიტუაციიდან გამომდინარე, რას შეიძლება ველოდეთ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე, რა შეიძლება მოხდეს. საერთოდ, როგორ მივალთ არჩევნებამდე?

— სერიოზული საკითხია, იქიდან გამომდინარე, რომ ყველაფერი, რაც აქამდე ხდებოდა, პოლიტიკურ ამინდს ვგულისხმობ მოსახლეობაში, მიბმული იყო მაჟორიტარებზე. ახლა, როცა გაუქმდა ეს სისტემა, პოლიტიკური მდინარება თავისუფალ კალაპოტში წავიდა და არავინ არ იცის, სინამდვილეში, რა მოხდება და რა იქნება. ამიტომ პროგნოზირება არის ძალიან რთული, მით უმეტეს, ნულოვანი ბარიერის პირობებში, საქართველოში, სადაც მუდმივად სკანდალები ხდება არჩევნებზე.

— ახალი მოთამაშე გამოჩნდა

პოლიტიკურ ასპარეზზე — მამუკა ხაზარაძე, რომელმაც თქვა: არც ერთ პოლიტიკურ ძალასთან არ ვითანამშრომლებ. არჩევნებში მარტომ უნდა დავდო ლელოო.

— საქართველო უკვე ისეთ ქვეყანად გადაიქცა, სადაც არჩევნებს იგებს ფული, ანუ იყიდება ხმები. სამწუხაროდ, იდეური ამომრჩეველი ცოტა დარჩა ჩვენს ქვეყანაში.

თავად ხაზარაძესაც კი, რომლის წარსული და აწმყო არ გამოირჩევა მიმზიდველობით, სწორედ ამაზე აქვს გათვლა გაკეთებული. ის ბანკირია და ბანკირებს, ზოგადად, ანგარიში მთელი ცხოვრების მთავარ კრედოდ აქვთ ქცეული. ესაა მათი პროფესია, მაგრამ რა ფორმითაც შემოვიდა ის პოლიტიკურ ასპარეზზე, მისი წრის გემოვნებას ძალიან ცუდად ახასიათებს. იგივე სახელი „ლელოც“ ადასტურებს ამას და ადგილიც, სადაც პრეზენტაცია ჩატარდა.

საქართველოში ასე ხდება: ადამიანები, რომლებსაც ფული უგროვდებათ, მეტეორივით შემოიჭრებიან ხოლმე პოლიტიკაში, მაგრამ, როგორც წესი, ფიასკო მოსდით და ნაწყენი უბრუნდებიან თავიანთ ძირითად საქმიანობას.

თუ ადამიანმა ბევრი ფული იშოვა, გვერდით უამრავი პარაზიტი უჩნდება, რომლებიც იკვებებიან მისი ნასუფრალით და აქეზებენ. შესაბამისად, ასეთ ადამიანს უჩნდება განცდა, რომ ის არის, მაგალითად, ილია ჭავჭავაძე. ხაზარაძესაც ეს დაემართა. მასაც გაუჩნდა ხიბლი, რომ არის უდიდესი საზოგადო მოღვაწე და მთელი ქვეყანა აფასებს.

ამ ხიბლში მყოფმა ხაზარაძემ მაინც გადაწყვიტა, რომ მისი დრო მოვიდა და უნდა გამოვიდეს დიდ ასპარეზზე. ამ დროს ამოტივტივდება ცხოვრების მთელი მატიანე და აღმოჩნდება, რომ ბევრი მაგინებელი ჰყავს. ხიბლში ჩავარდნილების ამ განცდას მე დავარქვი **აპი — არაადეკვატურობის კოეფიციენტი**, რომელიც უდრის ადამიანის მიერ არჩევნების წინ გაცხადებულ მოლოდინს შეფარდებულს არჩევნების გამოცხადებულ შედეგებთან, ანუ, როცა კანდიდატი ელოდება, რომ მიიღებს, ვთქვათ, 40% და ღებულობს 0,5%-ს ვარდება ე.წ. შიზოფრენიის მდგომარეობაში. ანუ აკ-ის სიდიდე მიისწრაფვის შიზოფრენიისკენ და დგება პოლიტიკური შერეკილობის მდგომარეობა.

ამ მდგომარეობაშია დღეს ხაზარაძეც. ის მორევიდან ნაპირისკენ კი არ წამოვიდა, პირიქით, უფრო შეცურა სიღრმისკენ.

მას თავი უნდა დაენებებინა „თეთრი ხმაურის“, „ბასიანელების“ და სხვა მარგინალური ლიბერალური ჯგუფების დაფინანსებისთვის და აღარ იქნებოდა ის რეპრესიები, რომლებიც, სხვათა შორის, აბსოლუტურად ლოგიკურად მიმდინარეობს მის მიმართ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

გიორგი გახარია: ჩვენს მოქალაქეებს სჭირდებათ გარემონტებული, უსაფრთხო სკოლა და გაზომვადი შედეგები

ჩვენს მოქალაქეებს სჭირდებათ გარემონტებული, უსაფრთხო სკოლა, კიდევ ბევრი რამ ამ მიმართულებით და მნიშვნელოვანია სწრაფი, გაზომვადი შედეგები, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანამშრომლებთან შეხვედრისას განაცხადა.

მთავრობის მეთაური ახალი სასწავლო წლისთვის მზადების პროცესით დაინტერესდა და მიიღო ინფორმაცია, რა სიახლეებით ხვდება სამინისტრო 2019—2020 სასწავლო წელს.

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ იგრძნოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ხელშესახები შედეგი.

გიორგი გახარია სამინისტროების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრებს ეტაპობრივად გამართავს, რათა უწყებებში არსებული დინამიკის შესახებ კონკრეტული ცნობები მიიღოს.

„ჩვენს მოქალაქეებს სჭირდებათ გარემონტებული, უსაფრთხო სკოლა და კიდევ ბევრი რამ. ეს ყველაფერი ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად უნდა აშენდეს და ხალხმა ეს უნდა იგრძნოს. არ შეიძლება, მოსახლეობას ვუთხრათ, რომ ეს შედეგი დადგება 10 წლის შემდეგ. ეს არასწორი იქნება“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

გაიმართა უწყებათაშორისი კომისიის სხდომა

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, დღეს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებისა და ბავშვთა უფლებების საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის რიგით მე-5 სხდომა გაიმართა.

სხდომა გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებისა და ბავშვთა უფლებების საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის თანათავმჯდომარის - ხათუნა თოთლაძის, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლის საქართველოში ღასან ხალილისა და გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებისა და ბავშვთა უფლებების საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის - ნატალია ჯალიაშვილის მიმართვებით გაიხსნა. ხათუნა თოთლაძემ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმების - შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვთა მონაწილეობის და ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ აღსრულების შესახებ, საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებული ანგარიშების გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტში წარდგენასთან დაკავშირებით ისაუბრა.

ირაკლი ლექვინაძე: მხარს ვუჭერთ ნავთობიმპორტიორების მოთხოვნას

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი, საქართველოს ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე, ნავთობ იმპორტიორი კომპანიების წარმომადგენლები და დარგის ექსპერტები 2020 წლიდან 1 იანვრიდან დიზელის საწვავზე ახალი ხარისხობრივი ნორმების ამოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ.

ახალი ნორმების მიხედვით 2020 წლის 1 იანვრიდან საქართველოში იმპორტირებული და რეალიზებული დიზელის საწვავის ხარისხობრივი ნორმები ევრო5-ის ტიპის სტანდარტის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. მიმდინარე ეტაპზე ქვეყანაში დიზელის საწვავზე მოქმედი ხარისხობრივი ნორმები ევრო-4-ის სტანდარტს შეესაბამება. ამასთან, აზერბაიჯანიდან იმპორტირებული დიზელის საწვავი ევრო-4-ის სტანდარტია და აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია ევრო5-ის ტიპის დიზელის საწვავის წარმოებას 2021 წლიდან გეგმავს. შესაბამისად, რეგულაციის 2020 წლის 1 იანვრიდან ამოქმედების შემთხვევაში 2020—2021 წლებში აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან დიზელის საწვავის იმპორტი სრულად შეიზღუდება. აღნიშნულის გათვალისწინებით ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის მოთხოვნა გამოცხადდეს 1წლიანი მორატორიუმი ადგილობრივ ბაზარზე ევრო4-ის სტანდარტის დიზელის საწავავის გამოყენების თაობაზე.

„შეხვედრაზე წარმოდგენილი ინფორმაცია საკმარისია იმისათვის, რომ დაიწყოს განხილვები დიზელის საწვავზე ახალი ხარისხობრივი ნორმების ამოქმედების ვადის კორექტირებასთან დაკავშირებით. არის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელზეც დღეს წარმოდგენილ პრეზენტაციაში აღინიშნა. მათ შორისაა იმპორტის მოცულობა, 40% ია ბაზარზე პროდუქტის წილი, რომელიც იმპორტირებულია აზერბაიჯანიდან და რეგულაციის 2020-დან ამოქმედებით იმპორტის ეს ნაწილი სრულად იზღუდება. არის ასევე შეფასებები, რომელიც უკავშირდება ემისიებს, ავტო პარკის ტექნიკურ მახასიათებლებს და ფასთა შორის სხვაობის საკითხები. ჩვენს აპარატს მხარდაჭერისთვის მომართა ნავთობიმპორტიორთა კავშირმა და კომპანია „სოკარმა“.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს გიორგი მამაცაშვილს დედის

ირინა მამაცაშვილის

გარდაცვალების გამო.

გამოსვენება: ხუთშაბათს, 29 სექტემბერს, 14 საათზე. მისამართი: დიღმის მასივი, მე-5 კვარტალი, მე-17 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული.

ბილოცავთ, საქართველოში ორი ახალი საკანალიზაციო მილი გაიხსნა!

რა მოხდება, თუკი 30 სექტემბერს სასამართლო ნიკა გვარამიას ვირის აბანოში გაამწესებს?

მეგობრებო, უნდა „გაგახაროთ“, ჩვენს სატელევიზიო ხარახურას კიდევ ორი ცალი ჯართი შეემატა – საციხედ გამზადებულ ნიკა გვარამიას „მთავარი არხი“ (ეგ ისეა „მთავარი“, როგორც მე ვარ ჩინეთის იმპერატორის სიძე) და საქართველოდან გაქსუებულ დავით კეზერაშვილის „ფორმულა“ დოღრიალა მიშა მშვილდაძის თანხლებით. ერთი უკვე ჩაირთო და ალბათ ხედავთ, დიდი ვერაფერია, მეორე კიდევ ჯერ მხოლოდ დაფუძნდა და ახლავე გეუბნებით, იქნება სრული მარაზმი. რატომ? რა მაძლევს ამის თქმის საშუალებას? მოდით, დავიწყოთ იქიდან და ალბათ დამეთანხმებით, რომ ახალი სატელევიზიო არხის გახსნა არ ხდება „ჰარი-ჰარალოზე“, როდესაც ნაპროკურორალი გვარამია უკვე ბრენდად ქცეულ „რუსთავი 2“-ს მოაჯდა და იძახდა, მაგარი „ტელევიზიონშიკი“ გახლავართო, არხი მაღალრეიტინგული გავხადეო, ეს იყო სიცრუე. უკვე გითხარით, ის მოაჯდა ბრენდს, რომელიც თავის დროზე შექმნა ეროსი კიწმარიშვილმა, შექმნა დრომ, სიტუაციამ, პოლიტიკურმა მდგომარეობამ და ხელისუფალთა მოწადინებამ თუ დაინტერესებამ. დამიჯერეთ, „რუსთავი 2“, როგორც ტელევიზია, ფსიქიკურად შერყეულმა გვარამიამ ახალ სიმაღლეებზე კი არ გაიყვანა, პირიქით, გააბანძა და ბოლოს დააჭაობა კიდევაც. ბოლოს და ბოლოს, რას ნიშნავს რეიტინგი ნებისმიერი მედიასაშუალებისთვის? რასაკვირველია, ეს ძალზედ მნიშვნელოვანი რამეა, მაგრამ მისი მოპოვება ათასნაირი მაქინაციებით გახლავთ შესაძლებელი. მაგალითად, საინფორმაციო საგენტოები ამაში იხდიან ფულს, სოციალურ ქსელებში ყიდულობენ ე.წ. ლაიქებს და არა მხოლოდ საზოგადოებას, საკუთარ თავებსაც კი იტყუებენ, რომ ძალიან მაგრები არიან. გამიგონია, რეიტინგის ყიდვა ასევე შეუძლიათ ტელეარხებსაც იმ კომპანიებისგან, რომლებიც ფლობენ ე.წ. ფიფლმეტრებს. ტექნიკურ საკითხებს შევეშვათ, ერთ მშვენიერ (რაღა მშვენიერი იქნება, მაგრამ მაინც) დღეს რომ რომელიმე ტელევიზიის მფლობელმა, ან დირექტორმა, ან მისმა წამყვანმა ფიგურამ შარვალი ჩაიხადოს (თუ ქალია, ტრუსიკი გაიხადოს) და პირდაპირ ეთერში უკანალი აიშვიროს, როგორ გგონიათ, ამ ტელევიზიის რეიტინგი არ ადუღდება და არ გადმოდუღდება? განა მილიონობით მაყურებელი ერთხელ მაინც არ დაინტერესდება, ერთხელ მაინც არ შეხედავს („რადი ინტერესა“) ეკრანზე გამოშვანშვალებულ ვიღაცის შავ-თეთრ უკანალს? რა თქმა უნდა, ერთხელ მაინც გადართავს, შეხედავს და რეიტინგიც ავარდება არნახულ დონეზე. აბა, გავიხსენოთ, თითქმის იგივეს არ აკეთებდა გვარამია? ერთი შარვლის ჩახდა

ვეღარ მოასწრო, არ აცალეს, თორემ მაგასაც მალე იზამდა. ამ მაგალითებით იმის თქმა მინდა, რომ რეიტინგის მოპოვება შეიძლება როგორც პროფესიონალიზმით, ასევე ავანტიურიზმით. ყველაფერი ძალიან მარტივადაა, შეიძლება მოგვწონდეს და ვუყურებდეთ, შეიძლება არ მოგვწონდეს და მაინც ვუყურებდეთ, ანუ სეირს ვუცქერდეთ. გამოდის, რეიტინგი, როგორც ასეთი, არის პირობითი. მაგალითად, როდესაც ტარტაროზმა გვარამიამ მოგვაძახა, ჩაგიფსით ღვინოშიო, მთელი კახეთი ფეხზე დადგა და „რუსთავი 2“-ის ოფისშიც კი მიუცვივდნენ დედის გინებით, რეზონანსი ნამდვილად ჰქონდა მის ბინძურ გამოხტომას, მაგრამ ეს ხომ იყო უაღრესად უარყოფით კონტექსტში? კი, ბატონო, შეიძლება სიუჟეტმა ან გადაცემამ სხვა შემთხვევაშიც გამოიწვიოს უარყოფითი რეაქცია, მაგრამ საქმეს მაინც უნდა ეტყობოდეს პროფესიონალიზმი. მე არ ვიცი, რა „ბაგაჟი“ აქვს (აქაც ვერ ვატყობ დიდ განსწავლულობას) გვარამიას იურისპრუდენციაში, მაგრამ ჟურნალისტიკის საფუძვლებისა, წესებისა და დანიშნულებისა რომ არაფერი გაეგება, ეს აშკარად ჩანს.

გვარამია „რუსთავი 2“-ისთვის იყო საკანალიზაციო მილი, საიდანაც უწყვეტად მოედინებოდა ფეკალიები. ახლა კი, როგორ გგონიათ, თავისი ე.წ. „მთავარი არხიდან“ ვარდების სროლას დაიწყებს? ბარემ აქვე შეგახსენებთ, დაუკვირდით „რუსთავი 2“-ის ხარისხს და შეადარეთ მის მიერ გახსნილი „კანტორის“ ვიზუალურ მხარეს, ანუ ძირითადად ხარისხს, ეს დაახლოებით არის აწ განსვენებული „იბერიის“ ვარიანტი და ასე იქნება მუდამ. რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, თუ ტელევიზიას არ უკავია სარეკლამო ბაზრის 70 პროცენტი მაინც, როგორც იყო „რუსთავი 2“, მაშინ ვიღაც „დურაკმა“ მაინც უნდა აყაროს მილიონები. კი, ბატონო, ამ შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილი და ბიძამისი თემურ ალასანია გადაიხდიან საქართველოდან გატანილ „მაყუთს“, მაგრამ მუდმივი გადახდა, თუკი მას არ მოჰყვა ეფექტი, ანუ ვერ შეარყია ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება, მომაბეზრებელი და სანერვიულო იქნება. მოდით, დავსვათ ლოგიკური შეკითხვა: შეძლებს კი ფსიქიკური გადახრების მქონე გვარამია, რომელსაც ცალი ფეხი ციხეში უდგას, შეარყიოს ივანიშვილის ხელისუფლება და ქვეყნიდან გააძევოს „რუსი ოლიგარქი“? ჩემი აზრით, ამაში დარწმუნებული ვარ, ვერ შეძლებს. ალბათ მოსახლეობის რაღაც ნაწილს ტვინს გადაუბრუნებს, მაგრამ ეს არ იქნება საკმარისი, რომ დღევანდელ ხელისუფლებას ერთი აგური მაინც გამოაცალოს. თუ გვარამიას ბილწსიტყვაობა არ აღმოჩნდა ეფექტური უკვე ბრენდირებული „რუსთავი 2“-დან, მით უმეტეს, სააკაშვილ-ალასანიასთვის რაიმე შედეგის მომტანი ვერ იქნება დაბოღმილი პარტიული ტელევიზია. მეტიც, რაც აქამდე „ნაციონალებს“ არჩევნებში ხმები

ჰქონდათ, ისიც საპნის ბუშტივით გაქრება.

რა მოხდება, თუკი 30 სექტემბერს სასამართლო ნიკა გვარამიას ვირის აბანოში გაამწესებს? ნანუკა ჟორჟოლიანის დავთრების თანახმად, ტელევიზია არ გაჩერდება, არა და არა! თავად გვარამიას მტკიცებით, თუ ხელისუფლებას, მისი სახით სურს მიიღოს ნელსონ მანდელა, მაშინ მიიღებს ნელსონ მანდელას. ნუ იცინით, სწორედ ასე განაცხადა ბატონმა ნიკუტამ, რადგან ასეთი დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე. მანდელობაზე რა გითხრათ, არ ვიცი, მაგრამ კიდევ ერთ კირკიტაძეს რომ მივიღებთ, ამას გპირდებით. ერთი რა მაგის პასუხია და... დავით კირკიტაძე, ველისციხეში რომ იჭიმებოდა ფაჩიკოს გარმონივით, სად დაიკარგა, ხომ არავინ იცით? სხვათა შორის, ირაკლი ოქრუაშვილის ბედიც მაწუხებს, ნეტა დაასრულა საკანში კოღოებთან საუბარი თუ ვერა?

ჰოდა, იმას ვამბობდი... რა მოხდება, თუ გვარამიას „საქათმეში“ გამოამწყვდევენ? არადა, პროკურატურის მიერ წარდგენილი ბოლო ბრალდებები ამის შანსს ნამდვილად იძლევა. სანამ ამ წერილს დავამთავრებდი, თურმე ნიკა გვარაამია ტრაბახობდა, ორმა მილიონმა ადამიანმა გვიყურაო, თანაც პირველივე დღესაო. შესაძლებელია, პირველ დღეს მართლაც შეხედა მის საცოდაობას ორმა მილიონმა „რადი ინტერესა“, მაგრამ როგორც მოგვიანებით ავმა ენებმა მაცნობეს, მომდევნო დღეებში მისი კანტორის რეიტინგი 0,41 პროცენტამდე დაეცა (ოჰ, ეს ავბედითი 41).

გადავიდეთ მეორე, ჯერაც ჩაურთავ არხზე, რომელსაც აფინანსებს დავით კეზერაშვილი, პარტნიორად ჰყავს მიშა მშვილდაძე და „ფორმულა კრეატივის“ „სასტავი“. ამ ტელევიზიას ფორმალურად ეწოდა „ფორმულა“, თორემ სინამდვილეში იქნება „კეზერვიზია“. მაქვს სანდო ინფორმაცია, რომ სანამ თავდაცვის ყოფილ მინისტრს „ევრონაცები“ დაითანხმებდნენ, ნიკა გვარამია ეჩალიჩებოდა და მას უარი უთხრა მოტივით – საერთოდ არ მაინტერესებს არანაირი ტელევიზიაო. აი, ამ მომენტში ვიფიქრე, კეზერაშვილი სადღაც მაინც ჭკვიანი ყოფილა-მეთქი. თუმცა შევცდი, ეახლა რა ელენე ხოშტარია და დააიმედა, ოღონდ ფული მოგვეცი და ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებას ავაყირავებთო, ისიც დათანხმდა. ვფიქრობ, კეზერაშვილისთვის ეს არის საბედისწერო შეცდომა რამდენიმე მიმართულებით: პირველი – უკვე არაერთხელ ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, დასრულდა დრო, როცა ტელევიზიებით რევოლუციებს აწყობდნენ, მეორე – მიშა მშვილდაძის გაკეთებული არხი არ გაიშვა ქუთაისამდე, მას უკვე აქვს „მესამე არხი“, რომელიც სოფლის კლუბის დონეზეც ვერ ქაჩავს, მესამე – კეზერაშვილი ისეთივე ტელევიზიას ააწყობს, როგორი „ბალეტის მოყვარულთა საზოგადოებაც“ შექმნა, მეოთხე – დღეს საქართველოში (ბევრი ფულიც რომ ჩაყარო) უბრალოდ არ არსებობს რესურსი, რაც ტელევიზიას პროფესიონალურ დონეზე სჭირდება, ქვეყანაში არაპროფესიონალთა დოღია.

გინდათ, გითხრათ, როგორი ტელევიზია იქნება „ფორმულა“? აგერ, გადით რუსთაველზე, შეხედეთ მიშა მშვილდაძეს, კოტე ყუბანეიშვილს, შოთა გაგარინს, ვინმე მარქარიანს, ნანუკა ჟორჟოლიანის გოგოს და მორჩა, ეგაა. თუ ე.წ. „მთავარი არხი“ იქნება „ნაცების“ რუპორი, „ფორმულა“ იქნება „ევრონაცების“ საყვირი.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

თეთრი სახლიდან მებრძოლი ქორი გაფრინდა

სამთავრობო სტრუქტურებში ჩინოვნიკების ცვლილებები ნებისმიერ ქვეყანაში ჩვეულებრივი, სამუშაო პროცესია, გასაკვირიც ერთი შეხედვით არც არაფერი უნდა იყოს. თუმცა ბევრი მიმომხილველისთვის მაინც სენსაციური აღმოჩნდა გასულ კვირას გავრცელებული ინფორმაცია — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თანამდებობა დაატოვებინა თავის თანაშემწეს უსაფრთხოების საკითხებში, ჯონ ბოლტონს. თავდაპირველად ბოლტონმა განაცხადა, თანამდებობიდან ჩემი სურვილით წავედიო. დონალდ ტრამპმა კი ტვიტერში დაწერა, რომ მან მოსთხოვა, დაეტოვებინა თანამდებობა. ამასთან, გაწეული მუშაობისთვის მადლობაც უთხრა.

განსხვავებული აზრი ხელმძღვანელსა და თანამშრომლებს შორის თავისთავად არის და მომავალშიც იქნება. თუმცა ამერიკული პრესა ჯერ კიდევ წლის დასაწყისში იუწყებოდა, დონალდ ტრამპი

უკმაყოფილო იყო სახელმწიდო დეპარტამენტის მდივნის მაკილ პომპეოს და ბოლტონის მუშაობიოთ და არ გამორიცხავდნენ ამ ორი საკვანძო თანამდებობის ხელმძღვანელების ასალი სახეებით ჩანაცვლებას. მაშინ პრესის პროგნოზი არასერიოზულად მიიღეს. გვიან, მაგრამ ნაწილობრივ გამართლდა ჟურნალისტების ვარაუდი. ამჯერად დონალდ ტრამპი ჯერჯერობით ჯონ ბოლტონს შეელია. ექსპერტების შეფასებით, მაიკლ პომპეოს აქვს ლავირების ნიჭი. იცის, თუ როგორ იურთიერთოს უფროსებთან. ბოლტონი კი მეტისმეტად ხისტი ადამიანია და ამიტომ მასზე გადატეხეს ჯოხი.

ამერიკელი ჟურნალისტების ინფორმაციით, მაიკლ პომპეოს და ჯონ ბოლტონსაც ერთმანეთთან კარგი დამოკიდებულება არ ჰქონდათ. განსაკუთრებით ბოლო პერიოდში დაიძაბა მათ შორის ურთიერთობა. იმასაც ამბობენ, ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენო. ამიტომაც პომპეომ ბოლტონის გათავისუფლების შესახებ კომენტარს თავი აარიდა. „...პრეზიდენტს აქვს იმის უფლება, იმუშაოს მასთან, ვისთანაც საჭიროდ თვლის. დიახ, ჩვენ განსხვავებული ხედვები გვქონდა გარკვეულ საკითხებზე. თუმცა რა გახდა მისი გათავისუფლების მიზეზი, ამას თავად პრეზიდენტი გეტყვით“, — უპასუხა პომპეომ ჟურნალისტებს.

რა გახდა ჯონ ბოლტონის გათავისუფლების მიზეზი, პოლიტოლოგები სხვადასხვა ვერსიებს ასახელებენ. ერთ-ერთი ვიეტნამის დედაქალაქ ჰანოიში ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ჩინ ინთან ჩაშლილი შეხვედრა გახლავთ. შეგახსენებთ, დონალდ ტრამპმა კორეელთან სამიტი სწორედ ჯონ ბოლტონთან საუბრის შემდეგ მიატოვა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ კორეელები დონალდ ტრამპთან ყოველგვარ დიალოგზე უარს ამბობდნენ, თუ შეხვედრას პომპეო და ბოლტონიც დაესწრებოდნენ. უთანხმოება ბოლტონს პრეზიდენტთან რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების საკითხშიც ჰქონდა, რასაც ყოველმხრივ ხელს უშლიდა. პოლიტოლოგები ვენესუელასაც იხსენებენ, სადაც აშშ-მ ვერ შეძლო სასურველი პოლიტიკის გატარება. საიდუმლო არავისთვის არის, ბოლტონი ნებისმიერი პრობლემის მოგვარებისას (იგივე



ირანთან, ჩრდილოეთ კორეასთან) ძალისმიერი მეთოდების მომხრე იყო. თავად დონალდ ტრამპმა რამდენჯერმე განაცხადა: „ბოლტონს ომები სურს, საჭირო ხალხთან საერთო ენას ვერ პოულობს“. სავარაუდოდ, ამიტომაც განაცხადეს ენაკვიმატმა ჟურნალისტებმა: „თეთრი სახლიდან, სადაც ერთსულოვნება არ სუფევს, მებრძოლი ქორი გაფრინდა“.

ორი კვირის წინ დაგეგმილი იყო დონალდ ტრამპის შეხვედრა ავღანეთის ხელისუფლების და მებრძოლი თალიბების წარმომადგენლებთან, რომელიც ჩაიშალა. მიზეზად, მართალია, ქაბულში განხორციელებული ტერაქტი დასახელდა, მაგრამ გავრცელებულია ინფორმაციით, ბოლტონსაც შეუტანია თავისი „წვლილი“ შეხვედრის ჩაშლაში.

პოლიტოლოგები არ გამორიცხავენ, რომ ბოლტონის გათავისუფლების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ახლახან უკრაინა-ბელორუსში განხორციელებული მისი ვიზიტი იყოს. საპრეზიდენტო არჩევნები აშშ-ში გაისად ჩატარდება. თავისთავად, ტრამპის მიზანია, მეორე ვადითაც გაპრეზიდენტდეს. მისი ძირითადი კონკურენტი დემოკრატი, ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბოლო არჩევნებისას უკრაინის წინა ხელისუფლება მხარს აშკარად ტრამპის კონკურენტ ჰილარი კლინტონს უჭერდა. ამის გარდა, ტრამპის დისკრედიტაციისთვის უკრაინელებმა ბევრი გააკეთეს. ყოველივე ეს კარგად ახსოვს აშშ-ის პრეზიდენტს. რაც შეეხება ბაიდენს, მას ოჯახური ბიზნესი აქვს უკრაინაში. ცნობილი „მაიდნის“ შემდეგ მისი შვილი თანამდებობაზეც დანიშნეს. სწორედ უკრაინაშია ბაიდენის მაკომპრომეტირებელი მასალები. ამისთვისაც იყო მივლინებული ბოლტონი, რომ ჩამოეტანა ეს საბუთები, მაგრამ ვერ შეძლო უკრაინის ახალ ხელისუფლებასთან მოლაპარაკება და აშშ-ში ხელცარიელი დაბრუნდა. ასევე უშედეგო გამოდგა მისი ბელორუსში ვიზიტი, რაც თავადაც დაადასტურა. სავარაუდოდ, მთავარი წინასაარჩევნო ბრძოლები ჯერ კიდევ წინ არის.

ვინ დაიკავებს აშშ-ის პრეზიდენტის თანაშემწის თანამდებობას, უცნობია. პოსტზე ათზე მეტი კანდიდატი განიხილება. „...ყველას უნდა ამ თანამდებობის დაკავება, რადგან ტრამპთან მოუწევთ მუშაობა, რაც მათთვის სახალისო იქნება. იციან, ბევრი საქმე არ ექნებათ, რადგან ყველა გადაწყვეტილებას ვიღებ მე, ტრამპი, ისინი კი უსაქმოდ იქნებიან“, — იუმორით უთხრა ჟურნალისტებს დონალდ ტრამპმა. პოლიტოლოგებს მიაჩნიათ, რომ თანამდებობაზე მშვიდობისმოყვარული, გაწონასწორებული ადამიანი უნდა დაინიშნოს.

ახლო აღმოსავლეთში და არაბეთის ქვეყნებში მშვიდობის დამყარება იოლი რომ არ იქნება, გასულ კვირას კიდევ ერთხელ დადასტურდა. შაბათს იემენიდან ათ-

მა უპილოტო საფრენმა აპარატმა საუდის არაბეთში არსებულ მსოფლიოში ორ უდიდეს ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაზე შეტევა განახორციელა. აფეთქებები იმდენად ძლიერი იყო, რომ ჭაბურღილებიც დააზიანა. პასუხისმგებლობა განხორციელებულ შეტევაზე ამბოხებულმა ხუსიტებმა აიღეს. ამის გარდა, საუდის არაბეთს დაემუქრნენ, თუ არ შეწყვეტენ იემენის წინააღმდეგ ბრძოლებს, მსგავს ტერაქტებს კვლავაც გაიმეორებენ. შეგახსენებთ, საუდის არაბეთი და იემენი ოთხი წელია ომობენ. სამხედრო ექსპერტები გაოცებას ვერ მალავენ, თუ როგორ დაძლიეს ამერიკული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები იემენის უპილოტო აპარატებმა. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ შარშან საუდის არაბეთმა აშშ-ისგან რამდენიმე ათეული მილიარდის ღირებულების შეიარაღება შეიძინა.

მიუხედავას იმისა, რომ ტერაქტზე პასუხისმგებლობა ხუსიტებმა აიღეს, მაიკლ პომპეო მომხდარში ირანს ადანაშაულებს. თავის მხრივ ირანელები სასტიკად უარყოფენ შეტევაში მონაწილეობას. მიუხედავად ამისა, აშშ ირანზე სამხედრო იერიშზეც ალაპარაკდა. ამაზე ირანელებმა უპასუხეს, რომ აშშ-ის სამხედრო გემები მათი რაკეტებისთვის მისაწვდომ მანძილზე იმყოფება. რა გადაწყვეტილებას მიიღებს დონალდ ტრამპი, ძნელი სათქმელია. პოლიტოლოგების შეფასებით, წინასაარჩევნოდ საბრძოლო მოქმედებების დაწყება ტრამპისთვის წამგებიანი სვლა იქნება, მას შეცდომის უფლება არ აქვს. ამასთან, ირანის მონაწილეობის დამამტკიცებელი საბუთიც არ აქვს.

ახალი საფრთხე გაჩნდა ლიბერალი ევროპელებისგან. შვედი პროფესორის განცხადებით, თურმე, ნუ იტყვით და, ადამიანის ხორცის ჭამა ცუდი არ ყოფილა. უფრო მეტიც, კანიბალიზმის დანერგვით მსოფლიოში კლიმატური, შიმშილის პრობლემა გადაიჭრება, ამტკიცებს შვედი პროფესორი ტელეეკრანიდან. მისივე მტკიცებით, თუ ღარიბები ერთმანეთს შეჭამენ, ჭარბი მოსახლეობისა და სიღარიბის პრობლემებიც მოგვარდება. შვედი პროფესორის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ვერაფერს გეტყვით, საფრთხეს ვხედავთ იმის გამო, რომ ყველა უგვანო ინიციატივას შვედი პროფესორის მსგავსი ლიბერალები უმალ აიტაცებენ ხოლმე. სახიფათოა, ახლა ამ იდეასაც არ გამოუჩნდეს მიმდევრები, თორემ მომავალში, სავარაუდოდ, კანიბალების უფლებების დაცვაც მოგვიწევს. საინტერესოა, რომელს ანიჭებენ კანიბალები უპირატესობას, კაცის თუ ქალის ხორცს?

მსოფლიოში კი პოლიტიკური ბრძოლები გრძელდება და მთავარია, იარაღზე არ მიდგეს საქმე, რაც, ადვილი შესაძლებელია და, კაცობრიობისთვის დამღუპველი იქნება.

გია ბურდული
551 71 27 07

ქართული იდეა

„აღმოხდების მზე და წარხდების მზე და უბრუნდება თავის ადგილს და კვლავ იქიდან ამობრწყინდება.

სამხრეთისკენ მიქრის ქარი, გაბრუნდება ჩრდილოეთისკენ, ბრუნავს, ბრუნავს, მიქრის ჟამი და უბრუნდება ისევ თავის წრეს...“

ეკლესიასტე 1.6.

ხშირად ვსვამთ კითხვას: — როგორ გადარჩა ქართველი ერი, როდესაც ისტორიის ქარტეხილებმა პირისაგან მიწისა აღგავა მრავალი ერი. ჩვენზე გაცილებით მრავალრიცხოვანი, გაცილებით ძლიერი და მონოლითური?

ამ კითხვაში გაოცებაც არის და გაკვირვებაც: — მართლაც რამ გადაგვარჩინა? როგორ მოვედით აქამდე. როგორ შევძელით დავსხლტომოდით ხელიდან ჩვენს გასანადგურებლად შემოსულ უზარმაზარ იმპერიებს?

იქნებ ხმალმა გვიხსნა, ხმალმა და განსაკუთრებულმა მეომრულმა თვისებებმა?

ჰო, მაგრამ ხმალი არც სხვა ერებს უჭრიდათ ჩვენზე ნაკლებად და ჩვენზე ნაკლები მეომრები არც ისინი ყოფილან, მაგრამ დღეს მათი სახსენებელიც აღარ არის.

ხმლით შეიძლება რაღაც ლოკალური პრობლემა გადაწყვიტო, მოიგო ესა თუ ის ბრძოლა, მაგრამ ხმლით და იარაღით დროს და ისტორიას ომს ვერ მოუგებ.

ზოგიერთი ერივით თვალუწვდენელი სტეპები და ტრამალები არ გვქონია, რომ გაქცევით გვეშველა თავისთვის — ერთი ხელის დადება სივრცეში ვიყავით ჩაკეტილი და გასაქანი არ გვქონდა — ან აქ უნდა მოვმკვდარიყავით, ან აქ უნდა გადავრჩენილიყავით.

საქართველოს ზემოდან რომ დაჰყურებ, ოთხივე მხრიდან ჩაკეტილ გლადიატორების არენას ჰგავს, რაც თავისთავად გიკარნახებს ერთადერთ გადაწყვეტილებას — როგორმე მტერს უნდა სძლიო.

თითქოს განგებამ საგანგებოდ შეგვირჩია ასეთი ადგილი — ოთხივე მხრიდან დაგმანული სივრცე, სადაც უკან დასახევი გზა არ არსებობს.

დიდგორის ომში უკან დასახევი გზა ჩაუხერგა ქართველებს დავით აღმაშენებელმა...

აღმაშენებელმა იცოდა, რასაც აკეთებდა...

ღმერთმაც იცოდა, რასაც აკეთებდა, როდესაც ოთხივე მხრიდან ჩახერგილი სივრცე გვარგუნა ასპარეზად...

და მაინც, რამ გადაგვარჩინა?

ვერ ვინარჩუნებდით ტერიტორიებს, ვერ ვინარჩუნებდით სახელმწიფოებრიობას, ვერ ვინარჩუნებდით დამოუკიდებლობას, მაგრამ ერი მაინც ინარჩუნებდა მეობას, ერი ერად რჩებოდა და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ერს გააჩნდა საყრდენი, რომელიც მატერიალური კი არა, სულიერი იყო და, ამდენად, მიუწვდომელი განადგურებისთვის.

ყველაფერი შეიძლება დაანგრიო, რაც მატერიალურია — აუღებელი ციხე-კოშკი, მიუდგომელი ციტადელი, დუღაბით

შეკრული გალავანი, მაგრამ სულიერ საყრდენს ვერ დაანგრევ, რადგან სულიერი საყრდენი სულშია, სული კი ქვემეხისთვის, ხმლისთვის, ბომბისთვის, დინამიტისთვის მიუწვდომელია.

ქართველი ერი სულიერმა „ციხე-კოშკმა“, სულიერმა ციტადელმა, სულიერმა გალავანმა, ანუ მართლმადიდებლობამ იხსნა განადგურებისაგან.

ქრისტიანული რელიგია, კერძოდ, მართლმადიდებლობა, ქართველი ხალხის ისტორიის და კულტურის ნაწილი კი არ არის, არამედ თავდ გახლავთ ამ ისტორიის და კულტურის შემქმნელი.

ეს არის ის უიშვიათესი შემთხვევა, როდესაც რელიგია ისე ჩაეზრდება ერის გენეტიკურ კოდს, ისე გაიშლება ერის ხასიათსა და ცხოვრების წესში, რომ ამ ერისა და რელიგიის ერთმანეთისგან განცალკევება შეუძლებელია.

„ქართული ეროვნული მოძრაობა თავისი საწყისებით მჭიდროდ არის დაკავშირებული რელიგიურ ცნობიერებასთან და ეკლესიურ წიაღთან, თავისი შინაგანი არსით ეს რელიგიურ-ეროვნული მოძრაობაა, რამდენადაც იგი გულისხმობს არა მარტო განკერძოებული ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ, პირველ ყოვლისა, ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას, რელიგიურ რწმენასა და ცნობიერებაზე დაყრდნობით“, — ეს სიტყვები ზვიად გამსახურდიას საარჩევნო პროგრამიდანაა.

ჩემი აზრით, სწორედ ეს კონცეფცია გახდა მიზეზთა მიზეზი იმ რეპლიკისა, რომელიც მსოფლიოს გლობალისტურ იმპერიად გარდაქმნის ცენტრალური შტაბიდან გაისმა: — თქვენ დინების საწინააღმდეგოდ მიცურავთ.

როგორც ჩანს, იმ გეოპოლიტიკურ სივრცეში, რომელშიც საქართველო იმყოფება, გლობალიზმის იდეოლოგთა ინტერესებს კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა რელიგიურ-ეროვნულ ღირებულებებზე, ზნეობრივ ფასეულობებზე დამყარებული ქართული სახელმწიფოს არსებობა.

●

უცხოელი „პრარაბების“ დიდი ფუსფუსი და ფაციფუცია ქართული სახელმწიფოს სამშენებლო პოლიგონზე, მათი მითითებები და დირექტივები ისმის წამდაუწუმ.

თუ შევთანხმდებით, რომ სახელმწიფოს შენება არ არის მხოლოდ გზების გაყვანა, ინფრასტრუქტურების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, არამედ სახელმწიფო, პირველ ყოვლისა, გახლავთ სულიერ, კულტურულ, რელიგიურ ფასეულობათა საცავი, მაშინ ჩვენ სახელმწიფოს კი არა, ერთ დიდ სავაჭრო და საცხოვრებელ კომპლექსს ვაშენებთ, რომლის მკვიდრებისთვის სულაც არ იქნება მთავარი, შეინარჩუნებენ თუ არა ეროვნულ სახეს და თვითმყოფადობას.

დღეს ამ მრავალსაუკუნოვანი ქართული ცივილიზაციის საძირკველზე აშენებული ქართული სახელმწიფოებრიობის დემონტაჟი მიმდინარეობს ისე, როგორც მიმდინარეობს საერთოდ ზოგადქრისტიანული კულტურის დემონტაჟი და ამ კულტურის ფსევდოკულტურით და ფსევდოღირებულებებით ჩანაცვლება.

●

„ქართული სამყარო მართლმადიდებლურმა სარწმუნოებამ განაპირობა და დაიცვა. მართლმადიდებლობა არის ჩვენი ისტორიული არჩევანი“, — ვკითხულობთ პატრიარქის ერთ-ერთ საღდგომო ეპისტოლეში.

რამდენად არის დღევანდელი ქართული სახელმწიფო ამ ისტორიული არჩევანის ერთგული მიმდევარი?

საქართველოს პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენელთა უმრავლესობა მართლმადიდებელია, მაგრამ, რამდენად არის მართლმადიდებლური მათი ქცევა, მათი ურთიერთობის ფორმები, მათი ცხოვრების წესი?

რამდენად არის მართლმადიდებლური ხელისუფლების დამოკიდებულება მოსახლეობისადმი, კულტურული და სულიერი მემკვიდრეობისადმი, რელიგიურ-ეროვნული ღირებულებებისადმი?

პასუხი ამ კითხვაზე, სამწუხაროდ, უარყოფითია...

საქართველოს პოლიტიკური სპექტრი, მართლაც რომ მოქმედებდეს ჭეშმარიტად ქრისტიანული ღირებულებებით, მაშინ ბევრი პრობლემატური საკითხი, რომლებზეც მწვავე დისკუსიები და დებატები იმართება ხოლმე, თავისთავად მოიხსნებოდა დღის წესრიგიდან, რადგან ამ საკითხებზე მართლმადიდებლობას გააჩნია ზუსტად ჩამოყალიბებული ფორმულირებები, რომლებიც, წესით და რიგით, საერთო უნდა იყოს მართლმადიდებელი ხელისუფლებისათვის და მართლმადიდებელი ოპოზიციონერებისთვისაც.

ის ერთადერთი საერთო ღირებულება, რომელიც არ ექვემდებარება კორექტირებას და რევიზიას და რომელიც ქართულ სინამდვილეში უნდა აერთიანებდეს ყველას — ცენტრისტსაც და მემარცხენესაც, რადიკალსაც და მემარჯვენესაც, კონსერვატორსაც და სოციალისტსაც, არის მართლმადიდებლობა.

ღვთისა და ერის სახელით, სწორედ ეკლესია უნდა სთხოვდეს პასუხს ძალაუფლებით გამამპარტავნებულ და გაზულუქებულ ადამიანებს, რომლებიც მის მრევლს ავიწროვებენ, ჩაგრავენ, აშინებენ, ამდაბლებენ, შეურაცხყოფენ.

ასე იყო დასაბამიდან, ასე უნდა იყოს დღესაც: ქართული სახელმწიფო ქართული ეკლესიის გარშემო უნდა შენდებოდეს.

●

არ მეგულება მსოფლიოში სხვა ერი, რომელსაც ქრისტიანობისთვის წამებული ამდენი მეფე-წმინდანი ჰყავდეს.

ქართველი მეფეები ერის ხსოვნას შემორჩნენ არა მხოლოდ მოგებული ომებით, არამედ, პირველყოვლისა, ღვთისმოსაობით, თავმდაბლობით, მოყვასისადმი სიყვარულით, მიმტევებლობით, შემწყნარებლობით, სამართლიანობით.

სიყვარულის დეფიციტია დღევანდელ საქართველოში, სიყვარულის, კეთილგანწყობის, ლმობიერების, თანაგრძნობის დეფიციტია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ სახელმწიფო, რომელსაც დღეს ვაშენებთ, ნაკლებად არის ქართული სახელმწიფო.

აღმაშენებელმა უკან დასახევი გზა ჩახერგაო, — ვთქვით ზემოთ.

ჩახერგილი გზები გაიხსნა და ქართველები თავქუდმოგლეჯილნი გარბიან საკუთარი სამშობლოდან, ანუ ბრძოლის ველიდან.

საერთო პასუხისმგებლობის გრძნობა სამშობლოს წინაშე ეგოიზმმა შეცვალა.

საქართველოდან ქართველთა დიდი გაქცევის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ ქართველები გუმანით გრძნობენ, რომ ეს არ არის მათი სახელმწიფო, ეს არ არის ქართველების სახელმწიფო, ხოლო, როცა ამას ხვდები, მოვალეობის და პასუხისმგებლობის ტვირთი გეხსნება მხრებიდან და გაქცევა გიადვილდება.

არ არსებობს ახალი ქართული იდეა ახალი რედაქციითა და ვარიაციებით. ის ისევე უცვლელი და მარადიულია, როგორც მზე და როგორც ჟამი...

ვახტანგ ხარჩილავა

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

— შეიძლება თუ არა საქორწინო ხელშეკრულების დადება სანოტარო დადასტურების გარეშე?

— არა, არ შეიძლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1174 -ე მუხლსი მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულება იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით.

* * *

— გარდამეცვალა ვაჟი. მას ჰყავდა მეუღლე, რომელთანაც ორი წელი არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა. მე ჩემს ვაჟს სიცოცხლეშივე ვაჩუქე საცხოვრებელი ბინა. აღმოჩნდა, რომ გარდაცვალებამდე 5 თვით ადრე ისე, რომ მე არაფერი ვიცოდი, ისინი სამოქალაქო წესით დაქორწინებულან. ახლა მისმა მეუღლემ გამომიცხადა, რომ ის ქმრის მემკვიდრეა და მე ვერაფერს მივიღებ. რამდენად სამართლიანია ეს?

— მეუღლე და მშობელი, სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, არიან პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები. მამკვიდრებლის გარდაცვალების შემთხვევაში, პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები სამკვიდროს მიიღებენ თანაბარზომიერად. შესაბამისად, თქვენი ვაჟის მიერ დატოვებული ქონება გაიყოფა ორ თანაბარ ნაწილად თქვენსა და თქვენ რძალს შორის.

* * *

— პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩემს სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც მოწინააღმდეგე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. მივმართე სააღსრულებო სამსახურს, რომელმაც არ აღასრულა გადაწყვეტილება. რამდენად სამართლიანია ეს?

— ეს სამართლიანია, რადგან გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო წესით. ანუ, მას არ აქვს დასრულებული სახე, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება არ არის შესული კანონიერ ძალაში. დაელოდეთ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და ასევე, შემდეგ, თუ რომელიმე მხარემ გაასაჩივრეთ საკასაციო ინსტანციაში — საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

ასევე, დამატებით გეტყვით შემდეგს: არსებობს მოთხოვნები, რომელთა დაუყოვნებლივი აღსრულება ხდება 1-ლი ინსტანციის სასამართლოში. თქვენ არ აღგინიშნავთ თქვენს შეკითხვაში, ექვემდებარებოდა თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსრულებას. თუ ექვემდებარებოდა, მაშინ სააღსრულებო სამსახური არ უნდა დაელოდოს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის გადაწყვეტილებებს.

წარმოგიდგენთ შესაბამის კანონის ნორმას დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე და დასკვნები თავად გამოიტანეთ:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 268-ე მუხლი: დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები

1. სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები:

ა) ალიმენტის მიკუთვნების შესახებ;

ბ) დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრების შესახებ;

გ) მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ;

დ) უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ;

ე) (ამოღებულია);

ე 1) უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ;

ვ) თამასუქისა და ჩეკის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებები;

ზ) ყველა სხვა საქმეზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდება. (ძალადაკარგულია «ზ» ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სადავო ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას, როდესაც მის შედეგად დაცული სიკეთე არ აღემატება აღსრულების დაყოვნების შედეგად მიყენებულ ზიანს) — საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება N1/5/675,681. 11.10.2016წ.

11. ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. აღსრულება არ შეჩერდება ამავე დავის საგანზე მესამე პირის სარჩელის საფუძველზედაც.

2. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დაშვებისას სასამართლოს შეუძლია მოსთხოვოს მოსარჩელეს გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფა სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში.

3. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება არ დაიშვება, თუ შეუძლებელია იმ ზარალის ზუსტად გამოთვლა, რომელიც შეიძლება მიადგეს მოწინააღმდეგე მხარეს, რის გამოც მეორე მხარე ვერ შეძლებს მის უზრუნველყოფას.

* * *

— შვილი მყავს პატიმარი. როდის იქნება ამნისტია?

— ძალიან ხშირად შემოდის ასეთი სახის შეკითხვა რედაქციაში. სამწუხაროდ, მე ამაზე პასუხს ვერ გაგცემთ. მაგრამ ამნისტიის შესახებ მოგაწოდებთ სამართლებრივ ინფორმაციას. კონკრეტულად:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასჯელმოხდილს ამნისტიის აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.

* * *

— ვარ ხანდაზმული მოხუცი. ქმარი და შვილები არ მყავს. მივლის მეზობლის ქალი, რომელიც ოჯახის წევრად მიმაჩნია. ამასთან, მყავს ძმიშვილები, რომლებიც, საერთოდ, არ მაქცევენ ყურადღებას. მსურს, მეზობლის სახელზე გავაფორმო სამისდღემჩიო რჩენის ხელშეკრულება. მაინტერესებს, ძმისშვილებს ხომ არ ექნებათ სამართლებრივი პრეტენზიები? გთხოვთ, მოგვაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია.

— თქვენ არ გყავთ 1-ლი რიგის მემკვიდრეები- მეუღლე და შვილები, რომლებსაც ასეთ შემთხვევაში შეიძლებოდა გასჩენოდათ გარკვეული ქონებრივი სახის პრეტენზიები. ყველა სხვა დანარჩენნი განეკუთვნებიან მომდევნო რიგის მემკვიდრეებს. ქონება თქვენია და თქვენ, როგორც მესაკუთრე, თქვენი სურვილისამებრ განსაზღვრავთ მის იურიდიულ ბედს.

უფრო მეტი სიზუსტისათვის დავძენ, რომ თქვენთვის საინტერესო საკითხი რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 28 თავით, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

— მუხლი 941. ცნება

პირი, რომელიც კისრულობს სამისდღეშიო სარჩოს გადახდას (მარჩენალი), მოვალეა გადაუხადოს იგი სარჩოს მიმღებს (სარჩენს) მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. სამისდღეშიო სარჩო შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით (ბინით, კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით).

მუხლი 942. ხელშეკრულების ფორმა

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევაში ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

მუხლი 943. სარჩოს ოდენობა

სამისდღეშიო სარჩოს ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 944. სარჩოს გადახდის ვადები

სარჩოს გადახდის ვადები დგინდება მისი ხასიათიდან და მიზნებიდან გამომდინარე, მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 945. გადაცემული ქონების გასხვისების დაუშვებლობა

1. სარჩენის სიცოცხლეში მარჩენალს უფლება არა აქვს გაასხვისოს, დააგირაოს ან სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება სარჩენის წერილობითი თანხმობის გარეშე. მარჩენალის ვალების გამო გადახდევინების მიქცევა ამ ქონებაზე დაუშვებელია.

2. როცა სარჩენი მარჩენალს გადასცემს უძრავ ქონებას, მაშინ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მას აქვს იპოთეკის უფლება ამ ქონებაზე.

მუხლი 946. შედავება სარჩოს გადახდის გამო

სამისდღეშიო სარჩოს გადახდა შეიძლება საცილო გახადონ სხვა პირებმა, რომელთაც ჰქონდათ კანონიერი უფლება მიეღოთ სარჩო მარჩენალისაგან, მაგრამ ვერ მიიღეს იმის გამო, რომ მარჩენალი იხდის სამისდღეშიო სარჩოს. ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში ქონება უბრუნდება სარჩენს.

მუხლი 947. ნატურალური სარჩოს გადახდა

ნატურალური სარჩოს გადახდის ხელშეკრულებაში მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ ნატურალური სარჩოს შეცვლა ფულით.

მუხლი 948. გადაცემული ქონების შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკი

მარჩენალისათვის გადაცემული ქონების შემთხვევით დაღუპვა ან დაზიანება არ ათავისუფლებს მას სარჩოს გადახდისაგან.

მუხლი 949. უარი სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე

1. როგორც მარჩენალს, ისე სარჩენს შეუძლიათ უარი თქვან სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე, თუკი სახელშეკრულებო მოვალეობათა დარღვევის შედეგად მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა, ანდა სხვა არსებითი მიზეზები უკიდურესად აძნელებს ან შეუძლებელს ხდის მის გაგრძელებას.

2. გადაცემული უძრავი ქონება ხელშეკრულების შეწყვეტისას უბრუნდება სარჩენს, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაწეული ხარჯები მარჩენალს არ უნაზღაურდება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 950. მარჩენალის გარდაცვალების შედეგები

1. მარჩენალის გარდაცვალებისას რჩენის ვალდებულება გადადის მის იმ მემკვიდრეებზე, რომლებმაც მიიღეს გადაცემული ქონება.

2. მემკვიდრის მიერ ამ ვალდებულებაზე უარის თქმის შემთხვევაში ეს ქონება უბრუნდება სარჩენს. ამ დროს ხელშეკრულება წყდება.

არისტოფან ბერძენიშვილი

პოლიტიკური ნოველა



– ალიოოოო... ბატონო ლევან, "ტვ ჭუკჭუკიდან" გაწუხებთ, თქვენი აზრი გვაინტერესებს ბიძინა ივანიშვილის ბოლო განცხადებაზე.

– დიახ, გისმენთ... რა თქვით, რომელი ტვ-დან მაწუხებთ?

– "ჭუკჭუკი", ბატონო ლევან, ჟურნალისტი კუჭკუჭი ინდოურაძე გესაუბრებათ.

– ჰო, მე "პოსტი ტივისთან" არ ვთანამშრომლობ, თორემ თქვენთან პრობლემა არ მაქვს, თქვენი ტელევიზია არის მეტად ობიექტური და კრიტიკული, თქვენ ხართ საქართველოში თავისუფალი სიტყვის მებაირახტრეები!

– ბატონო ლევან...

– დიახ, ასეა ეს... ძალიან გთხოვთ, ნუ შემეკამათებით, მე ჯერ არაფერი შემშლია ცხოვრებაში და არც ახლა მეშლება!

– ბატონო ლევან, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, ყველაფერი კარგად იქნებაო, ამაზე რა კომენტარს გააკეთებთ?

– რა კომენტარი უნდა გავაკეთო? საქართველოში ყველაფერი კარგად მაშინ იქნება, როცა მდიდრებს აღარ მოვუშვებთ პოლიტიკაში, ასეა ეს, ნუ შემედავებით!

– კი, მაგრამ ბოლო დროს მამუკა ხაზარაძეს რომ უჭერთ მხარს, მდიდარი არ არის?

– ჰმ... ჯერ ერთი, ხაზარაძე აღარ არის მდიდარი, სულ რაღაც 700 ათასი ჰქონდა და ისიც გიროში ჩაადებინეს, მეორეც – ეს კაცი სხვანაირი მდიდარი იყო, რაღაცნაირი, განსხვავებული, ცოტა უფრო ღია ფერისა!

ბატონო ლევან...

– თუ დამირეკეთ, მაცალეთ კიდევაც ლაპარაკი, ნუ მეჩრებით, ნუ დაემსგავსებით შალვა რამიშვილის კანტორას!

– ბატონო ლევან...

– კმარა... როგორც დიონისე იტყოდა არისტოფანეს „ბაყაყებში", ჩემს ტვინში ნუ ძვრები, სახლში დაეტიე!

– ბატონო ლევან, თქვენ ხომ მდიდარ ადამიანთან იყავით 2016 წლამდე?

– დიახ, ვიყავი... უფრო სწორად, ის მდიდარი ადამიანი იყო ჩემთან, მაგრამ მან ვერ მასწავლა გზა, რომლითაც პლუტონს მივადგებოდი. ვფიცავ პოსეიდონს, ამას არ ვაპატიებ. სიმართლე გითხრათ, მე ახლა ვზივარ კაეშნის ლოდებთან და იმაზე ვფიქრობ, მიმიყვანს თუ არა ხაზარაძე პლუტონთან!

– იმედი არ გაქვთ?

– იმედი რომ არ მქონდეს, მხარსაც არ დავუჭერდი, ბატონო კუჭკუჭი... ეტყობა, შენ არ იცი, რა ძნელია წლების განმავლობაში ნავიდან ნავში გადაჯდომა, როგორც დიონისე იტყოდა, მე უკვე ტრაკი დამებეჟა და ამტკივდა, თქვენს ტელევიზიას კი ეს საერთოდაც არ ადარდებს. კი ხართ ობიექტურნი, მაგრამ ჩემი დაბეჟილი ტრაკითაც თუ დაინტერესდებით, კარგი იქნება, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობამ უნდა იცოდეს ამის შესახებ. ზოგს ჰგონია, რომ ბუასილი მაქვს, მაგრამ ასე არ გახლავთ, ეგ მტრების მოგონილია!

– აბა, რა გჭირთ, ბატონო ლევან, იქნებ დააკონკრეტოთ?

– რა მჭირს და... დიონისეს თქმისა არ იყოს, მთელი ტანი დამიწყლულდა, მთელი ტრაკი ოფლში ცურავს, დავიხრეები – ხმას გამოსცემს. ასეა ეს, გაფრთხილებთ, არ შემეკამათოთ!

– თქვენ იმდენად განათლებული პიროვნება ბრძანდებით, ვერ შეგეკამათებით.

– თუ ამას ხვდები, კიდევ არაუშავს!

– და მაინც... ბატონო ლევან, იქნებ მითხრათ, რა განსხვავებაა ივანიშვილსა და ხაზარაძეს შორის?

– რას ჰქვია, რა განსხვავებაა? ჰა, ჰა, ჰა... ვფიცავ დემეტრეს, სიცილს ვერ ვიკავებ, ტუჩი დავიკბინე, მაინც მეცინება! ხაზარაძე არის დიდი ქველმოქმედი, რაც მაგას საქმეები აქვს ნაკეთები ლიტერატურაში, ივანიშვილს არც კი დაესიზმრება. ბიძინამ არ იცის არაფერი... მე ამას მივხვდი მაშინვე, როცა ჩემთან მოვიდა და მთხოვა, შენთან წამიყვანეო, უფრო სწორად, გვერდით დამიყენე, მინდა, მეც განათლებული გამოვჩნდეო. მე ვკითხე, არისტოფანეს შესახებ თუ გაგიგონიათ რამე-მეთქი? კი, გამიგონია, უხსოვარ დროში რაღაცებს წერდაო. თუმცა ვერ გაიხსენა, რას წერდა. შემეცოდა, დავსვი და რამდენიმე კომედია წავუკითხე. გამოგიტყდებით, არ მოეწონა. აი, ახლა კი აღმოვაჩინე, რომ ხაზარაძემ არისტოფანეს ნაწარმოებები ზეპირად იცის. განა ეს ცოტაა? მე უკვე ვგრძნობ ჩირაღდნის სუნს, თითქოს ზევსმა შემოაბიჯა პოლიტიკაში. ჩვენ ამ დროს მოწიწებით უნდა დავდუმდეთ. დიახ, დაგვტოვოს ყველამ, ვისაც სინდისი სუფთა არ აქვს!

– დიდი მადლობა, ბატონო ლევან, უნდა დაგემშვიდობოთ.

– მადლობა ტელეკომპანია „ჭუკჭუკის" დირექციას. ისე, შეიძლება ამ ინტერვიუს შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა დაგხუროთ, მაგრამ არ შედრკეთ, ჩვენ ამ ომში ერთად გავიმარჯვებთ. მე უკვე მივხვდი და ჩავწვდი ყველაფერს, მოვიდეს ივანიშვილი და ნახოს, ასი ათასობით ბრძენი ზის რუსთაველზე, ღირსებით ყველა აღემატება კლეოფონს. ყველა მათგანს ბაგეზე თრაკიული მერცხალი უზის და უჭიკჭიკებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალმა სიომ დაუბერა!

ბატონმა ლევანმა სკამი მიიჩოჩა და ნახევარი დუნდულით ჩამოჯდა. სახეზე ღიმილი დასთამაშებდა. აშკარად კმაყოფილი იყო, კარგი ინტერვიუ მისცა ტელეკომპანია „ჭუკჭუკის". ის უფრო ესიამოვნა, რომ მიუხედავად ბიძინა ივანიშვილის მრავალგზის მცდელობისა, თავისუფალი სიტყვა ჩაახშოს, ქვეყანაში მაინც არსებობს დემოკრატიის ტრიბუნა. ლევანმა ცოტაოდენი წვალების შემდეგ მეორე დუნდულიც შემოდო სკამზე და ღრმად ამოისუნთქა. ეჰ, ადრე უფრო მსუქანი იყო, მერე კუჭი დაიპატარავა, ჩხირივით გახდა, მაგრამ სიბერემ მაინც თავისი გაიტანა, ბოლო დროს ისევ დამძიმდა. ა, ისევ რეკავს ტელეფონი, ყოველდღიურად ასამდე ჟურნალისტი მაინც რეკავს. არა, უნდა დარეკონ, აბა, რა, ამ ქვეყანაში ჭკუის საკითხავი აღარავინ დარჩა და... თუმცა რაღა დასამალია, ცოტა კი გადაიღალა ბატონი ლევანი.

– ალიოოოო... ბატონო ლევან, ისევ ტელეკომპანია "ჭუკჭუკიდან" გაწუხებთ.

– ჰო, გენაცვალე, კუჭკუჭი, ხომ მშვიდობაა?

– არ ვიცი, ეგ თქვენ უნდა მითხრათ, ამას მშვიდობა ჰქვია?

– რა იყო, კაცო, თქვი, ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა?

– რა მოხდა და... აი, სულს ვეღარ ვითქვამ... ბიძინა ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრად გიორგი გახარია დანიშნა.

– ჰმ... მართლა? ნუ ნერვიულობთ, მაგათი საქმე მაინც წასულია!

– ეგ კიდევ არაფერი, თავდაცვის მინისტრად ირაკლი ღარიბაშვილი დანიშნა.

– უი, უი, უი... თლა უარესი, ჩემო კუჭკუჭი!

– ბატონო ლევან, შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური იქნებაო.

– ჰი, ჰი, ჰი... რა იცის მაგან შინაგან საქმეთა მინისტრობისა? შავო წყვდიადო ღამისავ, ეს რა უბედურ სიზმარს მიგზავნი ბნელი ჰადესის წიაღიდან?!

– რა თქვით, ბატონო ლევან?

– არაფერი, ეს ისე... წეღან არისტოფანეს ერთ-ერთ კომედიას ვთარგმნიდი და გონებაში ფრაზა ჩამრჩა, ანუ ჩამეთესა. ჰოდა, იმას ვამბობდი... ჩვენ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, ივანიშვილი მოვაშოროთ ამ ქვეყანას, თორემ ეგენი მარიონეტები არიან, ასეა ეს!

– კი, მაგრამ ვინ უნდა დანიშნოთ თანამდებობებზე?

– ვინ? კუჭკუჭი, შენ რა, ხუმრობ? როდესაც ქვეყანაში გყავს კრისტალივით წმინდა გრიგოლ ვაშაძე, წყაროს წყალივით კამკამა ნიკოლოზ მაჭუტაძე, ბროლივით ელვარე ბაჩუკი ქარდავა, ბრილიანტივით მბზინვარე პაატა დავითაია, შეიძლება, სხვები ისხდნენ ასეთ მნიშვნელოვან თანამდებობებზე? აღარაფერს ვამბობ გულანთებულ მამუკა ხაზარაძეზე... ყველას ნუ ჩამომათვლევინებთ, ვინმე გამომრჩება და შეიძლება ეწყინოს. ჰო, როგორ არ ვთქვა გულდათუთქულ გუბაზ სანიკიძეზე? თქვენ იცით, რა დღეში ჩაადო ეს კაცი ბიძინა ივანიშვილმა?!

– მილიონი დოლარი რომ არ მისცა, ეგ ვიცით.

– არა, ეგ არ იკმარა... მილიონი არ მისცა, არც სარფის საბაჟო დაუთმო და ბოლოს ჯადოც კი გაუკეთა!

– ჯადო? რა ჯადო?

– დიახ, თვითონ გუბაზმა იპოვა თავის საწოლში ჰატარა ბალიში, სადაც იყო მოთავსებული მიწის ქონი, ყვავის დორბლი და ვირის გამხმარი ტვინი. ამ ბალიშში გახლდათ გარჭობილი ნემსები. იცით, ეს რას ნიშნავს?! თუ ეს ჯადო არ გააუვნებელყვეს, უახლოეს ხანში გუბაზი უკიდურესად გახდება, ჩამოუვა დორბლი, გამოჩერჩეტდება ვირივით, განიგმირება მახათით და იცოდეთ, ამ ყველაფერზე პასუხს აგებს ბიძინა ივანიშვილი. ოოო... კრეტელნო, ამოძრავდით, მოგვეშველენით, მშვილდებს დაავლეთ ხელი და გარს შემოერტყეთ შუშის სასახლეს. შენ კი, ჰეკატე, ზევსის ასულო, გამიჩირაღდნე გზა სოლოლაკისკენ, ივანიშვილს შევუვარდები და კაბინეტს გავუჩხრეკ!

– ოოჰ, ბატონო ლევან, თქვენ გენაცვალეთ, ბიძიავ და ბაბუავ, ნეტა ერთი ათი ცალი თქვენნაირი გვყავდეს, ხომ ვიცხოვრებდით ბედნიერად?!

– ნუ ჩქარობ, ყმაწვილო, მე ერთიც საკმარისი ვარ, რომ თავი ბედნიერად იგრძნო... აჰა, ახლა კი აანთეთ წმინდა ლამპრები!

– დიახ, აი, "ზაჟიგალკა" ავანთე!

– დაე, იყოს წმინდა "ზაჟიგალკები"!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი"-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983